კაკა ედზისელი

კოლხური ფსალმუნები

100-ტომეული

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვაჟა ეტრუსელი



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად

2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვეფ ეტრელელი



კოლხური ფსალმუნები

ტომი 50

2020

მთ. რედაქტორი **ვაგნერ მხეიძე**
საქართველოს მწერალთა,
მეცნიერთა და საზოგადო
მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა-
საქართველო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2020**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-26-857-1 (50 ტომი)

* * *

ვაჟა ეგრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმენ ნათელი!” ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა” გამოსცა ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ქმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტამბული.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ეგრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწყეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟაფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესპანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და შაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „ვარძიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აბრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).

პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსთველს აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შეგადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „ფსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მეტგვერდიანი „გაჯადღლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ძუტაია“, არესის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტოტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური ფსალმუნების“ იგავმიუწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტზე მეტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯეროობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაგოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია... მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია“.

გულნაზ ხარაიშვილი
პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი,
ჯუმბერ ლეჭავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

„ბულცივად შეხვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას.“

ა. პუშკინი

ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲑᲘᲔᲠ

(გაგრძელება)

„ვაჟა ეგრისელის პოეტური თხზულებები თავს მოგაწონებენ, როგორც ევფუიზმის, ამფაზიურ-ექსპრესიული მეტყველების ნიმუშები. მათი ევრიტმია, ყოველგვარი დეკორატიულობისაგან დაცლილი სტრიქონების გრაცია ესთეტიკურად ხიბლავს მკითხველს. ეს ითქმის განსაკუთრებით ბუნების საგნებისა და მოვლენების ეგზოტიკურ ვითარებაში გამოხატულებაზე. ვაჟა ეგრისელი კვაზიპოეტური წიაღსვლებით არსად მანიპულირებს, იგი განებივრებს პოეტური ინკოგნიტოთი, თუმცა მის პოეზიას იეროგლიფურობის ნიშან-წყალობაც კი არ ატყვია“.

ვკითხულობთ მის ლექსებს და ვგრძნობთ, ბევრი განუცდია პოეტს, წუთისოფლის ბილიკზე ბევრჯერ დასცდენია ფეხი, ბევრჯერ ჩავარდნილა სატანჯველში და მიუხედავად ამისა, მისთვის სიცოცხლე მაინც უნაპირო და უმშვენიერესი დღესასწაუ-

ლია, ეს მორწმუნე კაცის თვისებაა, ის როგორც სულიწმინდისაგან მირონცხებული შემოქმედი ორიენტირებულია ზეციურ, მარადიულ სიბრძნეზე.

„ვაჟა ეგრისელის პოეზიის უსამანო სივრცეში რომ მოხვდე, ისე გაგიტაცებს ვითარცა ამურს ქერუბიმები ზეცაში მოკიაფე ვარსკვლავთა შორის. მისი პოეზია ღვთაებრივია და ფიქრები მნათობებივით მიელტვიან ზე-სამყაროს და არ გრძნობენ სიმაღლის შიშს“.

ვაჟა ეგრისელი უაღრესად მეტაფორული პოეტია. უნდა ითქვას, რომ მზის ფენომენი ერთ-ერთი გამორჩეულია მის ლირიკაში. მართებულად ბრძანებს პროფესორი ტიტე მოსია: „ვაჟა ეგრისელის ლირიკა მზესავით ნათელია, მთვარესავით ბადრი, ვარსკვლავებივით ციმციმა, ცასავით წმინდა და ლურჯი. მისი პოეტური ძეგლები ცისკრის ვარსკვლავივით კაშკაშაა, დილასავით ფერებით მდიდარი, ყაყაჩოებივით ელვარე, მინდვრის ყვავილებივით მშვენიერი, ცვარდასხმული ბალახივით ხასხასა, გაზაფხულივით მწვანე, მთის მწვერვალივით მაღალი. პოეტის თხზულებანი ზღვასავით მშფოთვარეა, ტალღების მიმოქცევასავით დაუდგრომელი, ქარივით მდგარი, წვიმასავით წკარუნა, თოვლივით თეთრი და წმინდა, ადამიანივით აღტაცებულიც და ჩაფიქრებულიც, მხიარულიც და ნაღვლიანიც, იმედიანიც და სევდიანიც“...

პოეტი თავის თავს მზის შვილს და ლაჟვარდის ძეს უწოდებს, რაც მისი პოეზიის მსოფლიო ერთადერთობას უსვამს ხაზს და შემიძლია ვთქვა, რომ მზე პოეტის მასაზრდოებელი წყაროა, როგორც უკვდავებისა და სიცოცხლის მარადისობისა, რომელიც მხოლოდ ლექსის ჭეშმარიტ დიდოსტატს ხელეწიფება, რამეთუ ვაჟა ეგრისელის პოეზია სასწაულია, ის ჩვენი ქართული სულიერების დღესასწაულია მასში მთელი სიმძაფრით ამომზეურდა ეროვნული ხასიათის პრიმატი.

აქ ხომ ყველაფერი ცინცხალი და პირველქმნილია, ფერთა არნახული ზეიმი და დღესასწაული, სილამაზე, სიცოცხლე, სითბო და სინათლე ელექტროდენივით დაგივლის მთელ არსებაში და პოეტის მიერ სამყაროს ხილვით აღქმა კიდევ გვიმძაფრებს იმის შეგრძნებას, რომ დიადი ფანტაზია სასწაულებრივია და ამავე დროს უფრო ღრმაც დახვეწილიც რეალობაზე: უნებურად ჩემს წარმოდგენაში ცნობილი მეცნიერისა და კრიტიკოსის სულხან ჟორდანიას სიტყვები ამოტივტივდა: „ადამიანი პიროვნებაა, უმაღლესი არსებაა საუფლოში, ხოლო პიროვნება სწორედ იმიტომაა პიროვნება. მხოლოდ მას ყველა სხვა ცოცხალი არსებათა შორის გააჩნია ინტროსპექციის უნარი, მხოლოდ იგი იაზრებს საკუთარ „მე“-ს ანალიზს, უქვემდებარებს თავისსავე აზროვნების პროცესს, თავის ემოციებს, ნამოქმედარსა და ნამოღვა-

წარს, მხოლოდ მას ხელეწიფება შეხედოს თავის თავს გარედან, როგორც უცხოსა და დამოუკიდებელ საგანს“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიამ ახალი სიმაღლიდან დამანახა ქართული მიწისა და ცის სილამაზე, დამარწმუნა ღმერთისა და სიყვარულის არსებობაში. მისი ლექსები მკითხველისაკენ შუამავლის გარეშე იკვლევენ გზას, გარდა ამისა ჭეშმარიტებას ბრძანებენ, როცა ამბობენ, ხელოვნების ყოველი ქმნილება საიდუმლოა, ამ საიდუმლოს ბოლომდე ახსნა კი არავის ძალუძს.

ვაჟა ეგრისელივით არავის არ ძალუძს თქვას:

„ჩემს სამშობლოს ღირსეულად,
   რადგან ვეღარ ვუგალობე
         ვითარც დავითს,
მეც დამადგით გულზე ფეხი:
   საქართველოს –
         უპირველეს –
ჩანგის მპყრობელს.“

ერთგან კი თავისი პოეზიის ძალმოსილება ასე დაასურათხატა:

„ცის კარებს ხელის ცახცახით
ფართოდ გიღებენ ჰორები,

მიტომ რომ შენი ლექსების
ცამდე აწვდილი სასახლე –
ნაგები არის სულ ბროლის
და ოქროს მეტაფორებით.“

დიახ, ოქროთია დაფერილი მისი ყოველი ბწკარი. პოეტმა გულიდან ამოფრენილ სტრიქონებს არნახული ჰაეროვნება და სიმსუბუქე შესძინა. მისი ლექსი შურდულივით გატყორცნილი და გავარდნილი, ფრთებაფათქუნებული ფასკუნჯივით მზეს დაეხალა. თავად პოეტს „მზის წყვდიადში ვარსკვლავები მიაცილებენ „ფსალმუნებით“, და „მაყრულით“, გზას კი ელვა უგვირისტებს... პოეტს სჯერა, რომ ის იცოცხლებს ბულბულის ხმაში, რომ ის საკუთარი თვალით იხილავს სრულყოფილებასა და სილამაზეს:

„ციურ სიმღერებს ცას ვუგალობებ,
რადგანაც უფრო
ვარ მიწიერი,
და ჩემს ქართულ ხმებს ამაყად გავშლი
ცისა და მიწის თვალსაწიერზე
და მე ვიცოცხლებ
ბულბულის ხმაში.“

მართებულად ბრძანებს ცნობილი მეცნიერი და კრიტიკოსი რევაზ სირაძე: „როცა უმთავრესი ღმერ-

თი გახდა მზე, მცენარეთაგან მზისთვის ყველაზე მახლობლად ვაზი მიუჩნევიათ, იმიტომ რომ ვაზი ყველაზე მეტად შეიწოვსო მზით ძალას, მზის ძალა ვაზიდან ღვინოში გადადის და ეს ძალა ათრობს ადამიანს. ...შენ ხარ ვენახი და შენ ხარ მზე ერთ პირს გულისხმობს, იგია, აყვავებული ვენახი და მზე გაბრწყინებული, ვენახი ყვავის მზის ბრწყინვალებით. ასე ადიდებენ ღვთისმშობელს მითოსური სახეებით.

ფსალმუნში ნათქვამია: „გამოავლინე ნათელი შენი, ესენი მიმიძღუეს და მიმიყვანეს მე მთასა წმიდასა შენსა და საყოფელთა შენთა (დავითი, 184, 3).

„უფალმან გამოაბრწყინოს ვითარცა ნათელი სიმართლე შენი და განკითხვა შენი, ვითარცა დღე შუა (დავითი 178, 5).

მზის სიყვარულითაა აღვსილი ვაჟა ეგრისელის პოეზია, მისი კავალერი ზეციური მეუფეა, პოეტის პაემანი მხოლოდ ცაშია; უნებურად მახსენდება; „როგორც ცა არის მაღალი მიწაზე, ასევე მაღალია ჩემი გზები თქვენს გზებზე და ჩემი ზრახვები თქვენს ზრახვებზე“.

პოეტის განსაკუთრებულობას ხაზს უსვამს ნათელთან, ამაღლებულთან, მიაზრებული ეპითეტი „უმაღლესი მარადისობა“. პოეტს უყვარს ამაყი მზე, მიუწვდომელი და შორეული;

„მთვარის კრიახზე წიწილებივით

მიიმალნენ ვარსკვლავები
ფსკერზე,
სიშორის.
დილა სინათლის ტოტებს არხევდა
მზე შეაფრინდა ცას
მამალივით
და თავის სამყსოს ამაყად და
ჯიქურ გახედა“.

ვაჟა ეგრისელი მზის ამოსვლას მკვდრეთით აღდგომას ადარებს, თითოეული სტროფი მდიდარია ორიგინალური, თითქოს თავიდან აღმოჩენილი პოეტური საღებავებით და კიდევ უფრო ნახევარტონებით. მზის შუქზე პოეტს მთელი ქვეყანა, სინამდვილის ყოველი საგანი განსაკუთრებული ელფერით წარმოუდგება. პოეტური სახეების დღესასწაულებრივი ფერადოვნება, მკვეთრი და კაშკაშა საღებავები მისი მხატვრული ოსტატობის სპეციფიკური თავისებურებაა.

ვაჟა ეგრისელის პოეზიას გააჩნია საოცრად ფართო დიაპაზონი, ალბათ ამიტომაც მისი ლექსები ერთნაირი ბუნებრიობით გვესმის მითებითა და ლეგენდებით დახუნძლული კოლხეთის ხეობებში მოვარდნილ ქარიშხალთა შემზარავი ხმაური და აპრილის თვეში ვნებით აზარტულად ატაცებული ჭაბუკის გულისფეთქვა, ისე ყველაზე პატარა ნაკადულის

წკრიალა ხმაც და გაზაფხულის უჩინარ ფესვთა ნაზი ჩურჩული:

„ხობისწყალში დინამიტს აფეთქებენ,
  დილა,
        მზეს ბღავის.
დღეა – მზიანი
ნაპირზე გდია ულვაშა ღლავი,
  თითქოს ჯუჯა ხე მოუთხრია
        ქარს ფესვიანად.“

ამ ბობოქარი სტრიქონების გვერდით საოცრად ნაზი, სევდიანი მოწიწებითაა ნათქვამი:

„მე დავიკარგე შენს უდაბნოში
        თეთრი დღეებით
              და გვირგვინებით,
და მწვავდა შენი სიახლოვის
ცეცხლი –
        მზისებრი,
მაგრამ მღელვარე
  სულს მიგრილებდნენ
        შენი თვალების ოაზისები.“

უნებურად ანა კალანდაძე გამახსენდა: „გარდმოვიდა ჩემზე ნათელი და მე ვმაღლდები ზეცის კარამ-

დე“ ვაჟა ეგრისელი რწმენითა და იმედით, მიემართება ცისკენ და სჯერა საქართველოს უკვდავების, მისი მანათობელი მზის ელვარების. ამიტომაც წრფელი შთაგონებით გამოხატავს მამულის, ადგილის დედის სიყვარულს, სიცოცხლის მარადისობის „ლექსთა ქოხების“ უკვდავებას:

„მზით და სინათლით შებუმბულები
ჩემი დღეები
ხმას სულ მალე დაიბოხებენ,
რადგან ადგილის დედა აქ არის
და როცა წავალ,
აქ დარჩება ლექსთა ქოხები
ჩემი სიცოცხლის მარადისი თავშესაფარი.“

„ლექსში „XIII საუკუნე“ კარგად ჩანს თუ რა ხერხებითაა გამორჩეული პოეტის ხელწერა, არავითარი ნატურალიზმი არაა ისე შთამბეჭდავი და მეტყველი, როგორც გულში გატარებული შთაბეჭდილებების გადმოსაცემად ასეთი სხარტი სიტყვები:

„მზე დაჩახჩახებს
  საქართველოს ციხე დარბაზებს,
მაგრამ ცოტაც და
ოხვრასა და სისხლში აზელენ
და ქართლი უნდა იქცეს გოლგოთად

ჯერ აღარ ჩანან,
საიდანღაც ამაზრზენი –
ცხენთა თქარუნი ისმის მონღოლთა.“

აღსანიშნავია ის, რომ ვაჟა ეგრისელი მთელ რიგ თავის ლექსებში ისტორიულ წარსულს მიმართავს და აქ ისტორია მხატვრული წარმოსახვის საგანია, ეს არის უკვე ლეგენდად ქცეული ისტორია, რომელმაც გაიარა ხალხური შემოქმედების საკირე, შეითვისა მითოსური იერი, იქცა ხალხის შეგნებისა და ფანტაზიის ნაწილად და ახალი სიცოცხლე შეიძინა.

ისტორიული მოვლენები ვაჟა ეგრისელის ლექსების მასალად იქცევიან ამ ტრანსფორმირებული სახით.

ლეგენდა, მითოსი, თქმულება – წარმოადგენს იმ მთავარ სვეტს, რომელიც მისი პოეზიის საყრდენად გვევლინება... თუნდაც დედა „ა ს ი ნ ე თ ი“ ჟინვალის არქეოლოგიურ გათხრებში ნაპოვნი წარწერიანი ქვა: „ჩემს მშობლებს თვრამეტი ქალ-ვაჟი ვყავდით, მე ცხრამეტ შვილს ვტოვებ, შენ? აღფრთოვანებული პოეტი თაობებს გადასძახებს ქართველი დედის უკვდავების საგალობელს: „შენ გაიხარე, რა სიმაღლეა, ცხრამეტი აკვნის რწევის ხმა, რომ ქართველს ასმინე, მზით მოკაშკაშე საქართველო შენი სახლია დედა ასინეთ!

დედა ასინეთის ნათელ ნაკვალევს უჩვეულოდ ამოჰყოლია ვაჟა ეგრისელი. მზითაა აკაშკაშებული მისი უჩვეულო პოეტური საბრძანისი, სადაც გონიერი გულის, ჭეშმარიტებად წრფელი, მხედველი სულის პოეზია ნათლის სვეტად ჩამოდგება სულში და მაღალი აზრებით გვაბრწყინებს.

და მაინც, როგორც ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი შემოქმედი, იგი სილამაზის ყველა ფორმაზე მაღლა „კაცურ“ მადლსა და სიკეთეს აყენებს, და გასაკვირი არ არის, რომ მის პოეზიაში მოდის ფრაზა, წყლის ასულის ოქროს სავარცხლით ჩამოქნილი, ახალი მთვარის ნასვამი წარმართული სუნთქვით ნესტოებდაბერილი და ქრისტეს მადლით გაბრწყინებული.

პოეტის აზრით, მზესთან ან ვარსკვლავებთან მიახლოება მხოლოდ მაღალი სულების ხვედრია, უმაღლესი ღირებულებების ერთგულება ღვთისგან გაბრძნობილი.

პოეტი თავად ხდება მზე, ვარსკვლავი, ნათლის სვეტი. ქართული ესთეტიკური ფენომენის აღმომჩენი, მამულის მზით დატვირთული პოეტი მისი ღვთაებრივი პეიზაჟით თვრება და არაფერი ისე მისტიურად არ გამოხატავს ჩვენი ყოფნის ღირებულებებს, ჩვენს კავშირს წარსულთან, სწრაფვას უკეთესი მერმისისაკენ, როგორც მზე, სამარადისო მზის საუფლოში დამკვიდრების ღირსია ის, ვინც პირნათლად ემსახურება წმიდათა-წმიდა იდეალებს; აი, თუნდაც:

„ლეგენდებით და მზით შემოსილი
გაჰყვება მდვრიე ათასწლულებს,
რწმენის ამარა, ვითარცა ქრისტე,
როს ძმათა თვისთა
სატანჯველად გვემა სხეული,
სული მაშინვე გაფრინდა ცისკენ.“

დროის მიერ წამოჭრილი პრობლემების გამძაფრებულ დოღში ვაჟა ეგრისელის ლექსმა ტრიუმფალურ გამარჯვებას მიაღწია და მისი შემოქმედებითი სამყაროდან მზესავით აელვარდა ქართული პოეტური სიტყვის ჯერარნახული და არგამოგონილი პოეტური ფანტაზია:

„მას შესცინინებს მთელი სამყარო
და სხვა პოეტმა რაღა ინატროს,
ან ჯავრი ქვეყნად რაზე იყაროს.
ის ვითარც ღმერთი ცაში ბინადრობს,
ნურვინ ეცდება,
რომ მიწაზე ჩამოიყვანოს.“

ლექსის დიდოსტატმა „კოლხური ფსალმუნებისა“ და „იქმენ ნათელის“ კიდობანში დაასახლა წინასწარმეტყველები, მეფეები და დიდებულები, უაღრესად ადამიანური და ფიქრით მოსილნი ალბათ არასოდეს არავის არ ჰქონია პოეტობის ასეთი ნიჭი.

მისი „კოლხური ფსალმუნები“ ხომ პოეტური ხელოვნების ზეიმია.

ვაჟა ეგრისელის პოეტური ხმა ლავასავით იფრქვევა, იდუმალებით მოსილი თაკარა ზაფხულის ცაა, შუადამით ადამიანის თვალს რომ იტაცებს; „დასაბამიდან დედამიწაზე, მთოვარის ცივი, იფრქვევა ლავა, და ვარსკვლავები ჩემი ხმებია. იდუმალებით შემოსილი ზაფხულის ცა ვარ, აწ შუადამით, ვიღაცა რომ მიშტერებია“.

და მაინც, რა არის ვაჟა ეგრისელში ძლიერი? მისი დიდი ტალანტი, ორიგინალობა, ნოვატორობა. იშვიათად აუსახავს რომელიმე პოეტს ასე სრულყოფილად თავისი ეპოქის იდეალები. ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი, როგორც ვაჟა ეგრისელს.

და მე მგონია, პოეზიის რეალისტურ შესაძლებლობათა მთლიანობაა ის უშველებელი ტვირთი, რომელსაც ვაჟა ეგრისელმა თავისი გოლიათური მხრები შეუყენა და სულმოუთქმელად ეზიდება ახალი სიმაღლეებისაკენ...

ვაჟა ეგრისელის ლექსი გვხიბლავს მკვეთრი ორიგინალობით აღბეჭდილი პოეტური სახეებით, რომელთა ინდივიდუალურ ბუნებას გონებამახვილური შინაგანი ასოციაციური მოვლენები განაპირობებენ.

აი თუნდაც:

„წუთები სადღაც მიიჩქარიან,

ჟამთა დინებას
ვერავინ ვერ ცვლის,
ვერც კაცთა მოდგმა,
და ვერც ცათა გულები.
მზე-ოქროს ჭიშკარია,
მთვარე კი ვერცხლის,
რომლებიც იღება დღე-ღამის ბრძანებით.“

ან კიდევ:

„ვერ გაწყვეტ!
ხარ მიჯაჭვული,
პოეზიას,
ვით პრომეთე,
მზის ეროს სცემ დღეთა პალოს
შიშის ქარი უდგათ ღმერთებს
ვაჰ!
მათ მუსრი თუ გაავლო.“

„ვაჟა ეგრისელის პოეზიის უაღრესად ორიგინალური სტილი, ლირიკის თავისებურება ჯერჯერობით უცხოა და უჩვეულო თანამედროვე მკითხველისათვის.“

„ვაჟა ეგრისელი, როგორც პიროვნება და პოეტი, კოლხური ვაზის მტევნებში დაგროვილი მზის ელვარებაა“

...„ვაჟა ეგრისელი ყველაფერს კოსმიურ სხეულებთან და მოვლენებთან ურთიერთობაში აღიქვამს და ლექსებში გადმოაქვს, ლექსების კითხვისას მკითხველს ჯერ მოეჩვენება, პოეტი კოსმიურ სივრცეში ისე შედის, როგორც საკუთარ ჭიშკარში და გაუკვირდება, როგორ ბედავს ამას, შემდეგ დარწმუნდება, რომ იგი ამ სივრცის მკვიდრია, იგი იქ სახლობს, ცის კარი მისი საკუთარი ჭიშკარია, მზე და მთვარე მისი უშუალო მეზობელია... ამიტომაა სამყაროს ყველა სხეული, თვით დრო და უსასრულობა სივრცის, ისეა გასულიერებული ვაჟა ეგრისელის პოეზიაში, როგორც ფლორა და ფაუნა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ (პროფ. კოტე მალაშვილი).

ვაჟა ეგრისელს არსთაგამრიგემ სამშობლოს ცის და მიწის სილამაზე დაარისხა და პოეზიის ნათელი მირონი დააპკურა. მან როგორც პოეტმა კარგად უწყის იმ შინაგანი იდუმალი პათოსის, ძლიერი ნებისყოფის და შთაგონების ცეცხლის ძალა, რაც მას თავისთვის აქვს გადამალული საკუთარ პოეტურ სამყაროში:

„ზის მაგიდასთან სიჩუმის სკამზე
და ულამაზეს
დღეების თვლაში –
აყოლებს ფიქრის აქატს და მარჯანს.
და გაოცებულ

დედამიწას
ჩასცქერის თვალში,
და ცისკენ მზირალ საუნჯეს
უსინჯავს მაჯას.“

ვაჟა ეგრისელს გაცნობიერებული აქვს, რომ ის მემკვიდრეა უსაზღვროდ მდიდარი სულიერი კულტურისა, ამიტომაც იგი რაფინირებულიცაა და შემართულიც, დახვეწილი პოეტური კულტურისაგან აღზრდილი სულით.

პოეტური არისტოკრატულობის უმაღლეს მუზას ნაზიარები გაოცებულ დედამიწას თვალში ჩასცქერის და ცისკენ მზირალ საუკუნეს მაჯას უსინჯავს და მიმსწრაფი სულის დაუოკებელი ლტოლვით არყევს ლავასავით სტრიქონების ზედაპირს, სიჩუმის სკამზე მჯდარი ამქვეყნიური არსებობის სილამაზისა და მშვენიერების მჭვრეტელი და ვაჟა-ფშაველას პოეტური მდინარეებით ნასაზრდოები ახალ სიმაღლეს აღმოუჩენს ეროვნულ პოეტურ გენს.

ასეთი დახვეწილი სრულყოფილი სტრიქონები კი მხოლოდ, ნიჭის ზეგარდმო მადლისა და ღვთაებრივი შთაგონების წყალობით იქმნება.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ძალუმად შემოგვანათებს, გარესამყაროს ჭვრეტითა და აღტაცებით, გაოცებითა და შეფრფვინვით შობილი სრულყოფილი სურათები, პოეტი ცას, ვარსკვლავებს, პლანეტებს,

მზეს ზვერავს და უფალთან მიახლოებაში ცდის თავის დიდ შესაძლებლობას.

და მაინც ყველაფერი მის პოეზიაში „ბუნებას სიმშვენიერით ტკბობის ნიჭითაა დაჯილდოებული, იგი ბუნებას ხან პირველი თოვლის სისპეტაკედ, ხან იასამნის ლურჯ გალობად აღიქვამს, ზოგჯერ მისი შაირები ძველი ბერძენი პოეტის ანაკრეონტის ნატიფ მსუბუქ ლექსებს მოგვაგონებს.“

ციალა მესხია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში

მინოტავრი

როცა გამოხვალ შოორეული
კოლხთა მითიდან,
როცა საამო დრო და დარია,
ზღვის გაღმიდან თუ ლეგენდების
ლაბირინთიდან,
სმენას მოგწვდება ხარის ბღავილი,
ფიქრობ,
ო, ალბათ,
ის მინოსის მინოტავრია.
1960

***

სამშობლოზე ლოცვით დაღლილს,
მკლავი ჰქონდა ორი ადლი,
ვითა პეტეფსა და
ედგარს.
და შემოსილს მზით და მადლით,
უფლის –
სიყვარულის ღვინო
ლურჯ ტაბლაზე მუდამ ედგა.

2015

ღამე უშბულში

ცა ყინვით იყო გადასარკული,
ღამე ანთებდა მნათთა
ჩირაღდნებს...
მერე სივრცე როს ზამთარს მიანდეს...
ამაყად მდგარი მთები
ზვიადი,
თებერვლის თოვლით გაუჩინარდნენ.

2003

***

ვარსკვლავებით დაწინწკლული,
საბნად ოქროს ცა ეხურათ
და დღისით მზე,
ღამით მთვარე,
წამით არ იძინებდა
და ორივე ქალწულ მიწას
ჩუმად აფეხმძიმებდა.

1958

***

ყვავიან მწუხარებას –
        გაზაფხულის ბაღები
            და გადუფრენს სამყაროს
სიხარული ხარების
და ლოდების წუხილი –
            ქრისტეს ცად ამაღლების.

2016

პტოლომესეული

უსასრულო სამყაროს,
როს მწუხრისას შეუვლი,
იქ "სასრული" გიხდება
პტოლომესეული*.

1962

* დიდი ბერძენი ასტრონომი და მათემატიკოსის პტოლემეს (ძვ. წ. II ს) სისტემის თანახმად, დედამიწა სამყაროს ცენტრს წარმოადგენდა

ბაბილონის გოდოლი

მაღლა,
ცისკენ მიიწევდნენ
ლოცვის საფეხურებით.
უფალი კი შიშით კრთოდა,
როგორც ალვის ფოთოლი.
ქალდეველთა ნაგებს ჰგავდა
ბაბილონის გოდოლი.

1994

მზე და მთვარე

სადღაც ცეცხლში იწვება
მზე უწყლო და
უმიწო.
აქ კი მიწას მფარველობს
მთვარე –
დედა მაცხოვრის,
ქალწული და "უბიწო"*.

1972

* (უძველესი იადგარი – გვ. 439)

***

თოვლ-ჭყაპითა და უამინდობით
    წასულან შენი გაზაფხულები...
    ჟამს შენი შუბლის დიდი მინდორი
გადაუხნია დღეთა გუთნებით,
        ღრმად დარჩენია კვალი –
                ხნულების.

2017

***

უსამანო ცის მინდორზე,
        მნათთა ნერგი ისევ ხარობს.
        და ღრუბელი ცრემლით ავსებს,
მიტოვებულ მთვარის ხაროს.
ელვა ბინას ბნელში ეძებს –
        შიშველი და
                    უსახლკარო.
შენს მიწაზე მორაკრაკებს
                ზეციური სიბრძნის წყარო.

2016

***

ცად ბინადრობ,
მიტომ სახე
სავსე მთვარის ნიმბზე გიგავს.
ზეცა არის ვარსკვლავების
საკალმახე,
ხელთ გიპყრია ელვის ბიგა.
მტკვარ-არაგვის შესართავთან,
მცხეთაზე კვლავ ჰყვები იგავს.

2016

***

მგოსნები და ტიტანები
მოვლენ ღმერთად და
კაცებად,
მაგრამ შური არ ილევა...
შენც კოცონი არ აგცდება,
ვით ბრუნოს[1]...
და გალილეის.

2017

[1] ჯორდანო ბრუნო ინკვიზიციამ 1600 წელს ცოცხლად დაწვა კოცონზე

***

ათასწლეულების მერეც,
უღვთო სივრცესა და
დროში,
ამ სამყაროს უსაზღვრობას,
ვითარც მაშინ, ადევს კლიტე!!!
ვერ უშველა ეპიკურემ,
ლუკრეცსმა და
ჰერაკლიტემ[1].

1979

[1] ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი (ძვ. წ. ა. V ს)

ბიბლიის კითხვისას

“შეთხზე იგავი” – ჩამჩურჩულა
ეზიკელმა
და აღვაპყარი თვალები ცისკენ!
წამსვე იელვა,
გაანათა სამყარო მთელი –
ეს იყო ქრისტე.

1969

გეოცენტრული

შენც ხანდისხან,
ვით პტოლომეს[1],
მზეზე მილიარდჯერ დიდი[2] –
მნათი გელანდება
ხოლმე.

2016

---

[1] – დიდი ბერძენი ასტრონომი და მათემატიკოსი (ძვ. წ. II ს)

[2] – იგულისხმება პლუტონი, რომელიც მზეზე მილიონებჯერ დიდია და მზიდან 6 მილიარდი კილომეტრითაა დაშორებული

***

ათასწლეულების მერეც,
არ კარგავდა კოლხი იმედს –
ცის და დედამიწის მოვლის.
კოლხეთიდან –
სცემდა ქიმეთს,
სურნელება სიბრძნის მოლის.

1976

მერკური

ახლოს ვერ ბედავს!..
შორიდან,
შეფარვით ელაციცება
ცათა მეუფეს მერკური*.
მზე კი დგას, ვით "დედოფალი
ოფირის ოქროთ შემკული"
(ფს. 44,7)

1964

* ცთომილი მერკური – მზისგან 60 მილიონი კილომეტ-რითაა დაშორებული

უშბა,
შხარა,
ჩე გოლა

ჩემო,
შენმა სახელმა,
გადასარკულ ცის თაღზე,
მიტომ იქუხ-იგრგვინა,
ასწლეულთა გზებზე რომ
ლეგენდებად ეგორა...
შენი სასაფლაოა:
თოვლის თეთრი გვირგვინით –
დაზვინული თეთნულდი,
უშბაც,
შხარაც,
ჩე გოლაც.

2017

***

პონტოს სანაპიროზე
გესმის შორი ბღავილი
ლეგენდების და ვერძის...
გაცეცხლდი და
გაალდი.
“ოქროს საწმისს” დაეძებ,
ვით “გრაალის” –
გალადი.

2017

***

მნათთა ოქროს აგურით,
ზე-ცას უფლის ანაგებს,
მეუფეობს სიშორე
ცივი, ეზოტერული.
ჩვენ კი სულ სხვა საუნჯის
ვართ მარადის მფლობელი.
“პოეზიას განაგებს”
დიად “რიცხვთა კანონი” –
ბრძანებს დიდი ფლობერი.

2017

***

საქართველო,
ზღვისკარად,
საუკუნე სამ-ოთხი,
იდგა ხელ-ფეხშეკრული
და ართმევდნენ სამოთხეს!!!
შენც ასევე, პოეტო!
გაშორებდნენ რწმენის ცას,
მაგრამ ვერ დაგაშორეს,
ვითარცა მზეს –
მერკური.

1983

***

დავიწყების კუნძულიდან –
    დავიწყებულ ფარაონის
    განწირული ხმები ისმის:
მე ვტირი და შენ იცინე –
    უკვდავება პირს მარიდებს!!!
    და თვალებში შესციცინებს –
    ლოცვად დამდგარ პირამიდებს.

1961

სამთავროს ფერისცვალების ტაძარი

მაყვლის ბუჩქებს ეფარება –
    მოციქულთასწორი ნინო!
    მეფე მეფობს...
        დედობს ქალი!
და დღეს,
    ტაძრის გულში წვანან –
    მზითმოსილი –
        ქართლის მეფე-დედოფალი –
წმინდა მირიან და ნანა.

1967

***

აღმოსავლეთით ცისკარი
        მოდის მზის ჯოხის
                კაკუნით.
ბნელს შრიალებენ კედრები...
ისმის ზღვის ლოცვა,
                ვედრება...
ქარიშხლის ჯვარზე გაკრულის.

1959

მზე და ფარი

მომავლიდან მომავალი
        დღეთა შენს ცას –
                ათოვს,
                აწვიმს...
და იმედებს თავს აფარებს,
        რადგან, ჩემო,
                შენთვის აწი
“უფალია მზე და ფარი” (ფს. 84, 13).

1972

სიცოცხლე – სასჯელი

ცივ ნიავს არ აკარებდა,
უსინჯავდა შუბლს
და მაჯას,
ღმერთი თვის ხატს...
მაგრამ როცა
ადამის ძემ "უღალატა",
მას სიცოცხლე მიუსაჯა.

1959

მეტი სინათლე

სიცოცხლე –
    წყვდიადში უხდებათ
        პოეტებს!
თავს აფარებენ ათონს და
        სინას მთებს.
და საიდანღაც ხმა ისმის გოეთეს:
ნაკლები სიბნელე!
        და "მეტი სინათლე!"

1965

ჯვარი

არყოფნა გლოვისფერი ხალათია,
        რომელსაც დღის ბოლოს
                მოკვდავნი
სიცოცხლეზე რომ გადიცმევენ!
        შენ კი სამარის
                კართან მიდი,
გაშალე ხელები და...
                ჯვრად იქცევი.

1979

ვარსკვლავები

აღსავლით დილა მოჰყავთ
ჭენებით
(ცისკრის წყარო როგორ
წყურებიათ!)
და მთელი ღამე არ ისვენებენ –
ბნელს ნაკვერჩხლებით
ისინათლებენ,
ვარსკვლავები –
ანგელოზთა ნაფეხურებია.

1960

***

შავ ვარსკვლავზე გაჩენილმა,
უპატრონო ადამის ძემ,
ხმალი,
ნეტავ სად იქნიოს.
აქ –
ძმათამკვლელ სააქაოს,
თუ –
ძმამოკლულ საიქიოს!

2017

ბუქნა ბაადური

სამოცდაოთხ ხვთისშვილთა,
ყველაზე საკვირველი,
“ბუქნა ბაადურ” –
“წყლის ბერი”,
ხვთისშვილია პირველი,
რომელმაც ზე-სამყაროს,
სახელი შეუერთა,
რაზეც გვიმხელს სასწაულს –
“ქვის ბეჭედი შუმერთა” (ძვ. წ. 3400 წ.)

1972

ქვედაყანა, ზედაყანა

სიმაღლეს მშობიარობენ
        და წვანან მთები ორსული,
        აკრთობს ხმა ელვის
                მიზრაფის.
შენ,
        ჩემო,
                ძეო ადამის,
ქვედაყანაში მოსული,
ზე-დაყანაში ისწრაფი.

2015

***

წარსულ დღეთა მღვრიე ცაში –
მოგონების თვალს ახელენ
შუშანიკი და
ვარსქენი.
და მეც, რომ არ დავავიწყდე,
ზოგჯერ ჩუმად ჩავახველებ,
ამით სიკვდილს
თავს ვახსენებ.

2017

***

მე,
    შენ მიყვარდი,
    მაგრამ ჟამი მუდამ პლუტობდა!
და აი, ახლა,
        შორსა ხარ ჩემგან,
        ვით მზე პლუტონთან*.

1999

---

* P. S. მზე პლუტონისგან ექვსი მილიარდი კილომეტრითაა დაშორებული

ყაჩაღანის ჯვარი, დავათის სტელა

კოლხებს მისცა უფალმა
ჯვარი, თვით რომ ეკიდა
(მზის და მთვარის გელაზით).
ახლა ეგვიპტელ კოპტებს,
სხვებზე უფრო აჯავრებთ:
თეთრი ანგელოზები –
"ყაჩაღანის[1] ქვა-ჯვარზე",
წარწერები ციური –
"დავათის[2] ძველ სტელაზე".

---

[1] – "ყაჩაღანი" – სოფ. მარნეულის რაიონში, სადაც აღმოჩენილი იქნა ჯვრის სიმბოლიკა (ძვ. წ. VIII ს).
[2] – "დავათის სტელა" – (ძვ, წ. 680)

გათენება

ვარსკვლავი ვარსკვლავს
ცივ სიშორეში,
ზე-ცას სწყდება და...
თვითმკვლელობას თავად ასწავლის –
მამლის ყივილის ჯვარზე –
გაკრული.
და ღვთითმოსილი,
სადღაც დასავლით,
კვლავ მოდის დილა –
მზის ბაჯაღლო ჯოხის კაკუნით.

1967

ზღვა და ენგური

მთებიდან მომავალ ენგურის
მხილველნი,
შავი ზღვის ზვირთები მუხლებზე
ეცემოდნენ, ვით მლოცველნი
მოგვთა.
ენგურმაც ზღვა რომ ნახა პირველად,
სიხარულისგან გული გაუსკდა
და... მოკვდა.

1960

ხილვა – მოყმის დედა

“წავიდე, მეც იქ მივიდე
სამძიმარ უთხრა შვილისა”.

შიშის ზარი უდგათ ლოდებს
და ზანზარი ისმის კლდეთა...
რაც ჟამმა ვერ მიმალა –
არაგვთან ვჭვრეტ –
მოყმის დედას,
საცალფეხო ბილიკებით –
სამძიმარზე მიმავალს.

1962

კოლხური მზე

შოორ წარსულში –
მნათთა ოქროს სანთლებს
გინთებს –
შენი "აია"[1] და"ეა"[2].
და ზესკნელში მირიადი
მზე რომ სუფევს –
კოლხური და მოჩახჩახე
შენი მზეა.

1961

[1] – "აია", "ეა" – კოლხეთის წინარე სახელები

ხილვა: უჯარმა

ვჭვრეტ მეხუთე საუკუნეს
ომის ცეცხლის –
კვამლში მბოლავს!
ალაზნისპირ სპას მოუხმობს
და გაჰყივის სიკვდილს
მოლა.
ვიღაც შხამით –
ნამავს ისარს
და გლოვისფრად ჩუმად ქუფრავს –
გორგასლის ცას –
ნამაისარს.

1965

დაო*

ძველ კოლხურ გვარს "ჯოჯუას",
არ იცი, რად გახსენებს
უფლის წიგნი "ძოჯუან!"
რომელსაც შენს ხსოვნაში –
სიზმარივით ეძინა!
ახლა კი გზას მიყვები
ციურ "დაო დე ძინის".

1966

* დაო* (ჩინ) – ლოგოსი, გზა, ღმერთი, სამყაროს პირველსაწყისი

მაჯამა

არხოტი,
            შატილი,
                    შენაქო,
მე ვაქე...
            ახლა მსურს –
                    შენ აქო.

1963

ქალდეური ნათელი

კოლხეთს –
                    დილა-საღამოთი
        ხმა რომ მოაქვს ქარს –
                    დევური,
და უშქარი წლების მერე,
        წარსულიდან რომ ამოდის –
        ნათელია –
                    ქალდეური.

1960

პლანეტები, ვარსკვლავები

მათზე მლოცველ –
საწყალ დედამიწას,
თავს რომ მილიონჯერ
ამეტებენ –
უკვდავების ხეებია –
პლანეტები.
ელვის თოკებით გასანასკვავები –
ცის –
ოქროს ფესვებია –
ვარსკვლავები.

1959

ტრანცენდენტური

მოდგმამ ადამ კადმოსის[1]
მეტი რადა ინატრო,
ანდა ბედს რას ემდური.
რადგან შენში –
ბინადრობს
სული ტრანსცენდენტური[2].

1959

[1] – ადამ კადმოსი – ცისიერი პირველი ადამიანი
[2] – ტრანცენდენტური (ლათ) – რაც საზღვარს ცდება.

ხილვა: იოანე მტბევარი

ტანთ აცვი “სიხარული სამოსლად”,
თითქოს იგი ქრისტეს
ძუძუმტე არი.
და მოელის ციდან უფლის ჩამოსვლას.
მტკვრისპირ ლოცვად –
მუხლმოყრილი –
იოანე მტბევარი*.

1962

* ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი (X ს.)

სინათლის სანთელი

ლოცვით შედედებული –
    ციდან მადლი გადმოდის
    ჩე გოლას
        და სინას მთის.
ბნელში ნათელს რომ აჩენს –
        "სანთელია სინათლის".
(ფს. 1,7)

1964

პიგმალიონ

შენ კი შესვი სიყვარულის
“შხამი”,
მაგრამ, დიდო მეფევ!
შენებრ, სხვებმა ვით დალიონ?!
“აქანდაკებს” “კოლხურ ფსალმუნს”...
მეტი რა ქნას, პიგმალიონ![1]

1991

[1] კვიპროსის მეფე, რომელიც ამავე დროს მოქანდაკე იყო; მან სპილოს ძვლისგან გააკეთა ქალის ულამაზესი ქანდაკება, რომელიც თვითონვე შეუყვარდა. სიყვარულის ქალღმერთმა აფროდიტემ ქანდაკება გააცოცხლა და პიგმალიონმა ის ცოლად შეირთო.

ორი ხე

მთვარე მოჩანს ქრისტეს კვართად,
მტკვარი სმენის დაცობამდე
ყვება ამბავს წარსულ დღეთა:

– ხე სიცოცხლის[1]
და ცნობადის –
ორივ ერთად იდგა მცხეთას.

1991

[1] "ნინოს ცხოვრების" ლეგენდა

ჰელიოსის მზე

კოლხთა წარსულის ბინადართ –
        მზეს და ღმერთებს
                ვინ ჩამოთვლის:
ფასის, ოდის, ლაყვას, როყვას –
უკვდავების მადლით მოსილთ,
შენ,
        ატლანტის ცივ ფსკერიდან
                რომ ამოგყავს,
ის მზე გახლავთ,
        კოლხი მზის ღმერთ ჰელიოსის.

1970

მზე, სხივი და სულიწმინდა

ვარსკვლავებით უძინარი
ღამე თითქოს შეშლილიყო,
და ნიადაგ კოლხური ცა,
აუხდენელ სურვილს წვიმდა...
მაგრამ მაინც –
შენში იყო:
მზე[1],
სხივი[2] და სულიწმინდა[3].
1953

---

[1] – მზე – მამაღმერთი
[2] – სხივი – ძე ღმერთი
[3] – სულიწმინდა – ნათელი

***

შენი ცხოვრება დიდი ომია –
                  დიდგორისა და ველი
                                  მარტყოფის.
საჭრეთელია ბრძენი როდინის.
და მიტომ ნიკე[1] ელოდება კართან
                                  არყოფნის –
შენს სახელს დაღლილს
                  ცივი ლოდინით.

2017

[1] ნიკე (ბერძ) – გამარჯვების ქალღმერთი

არაბესკები

შოორეული წარსულიდან
ძველ კოლხეთში მოსულები
ასწლეულებს გადაეფსკვნენ –
და... საფრენად –
ცა არყოფნით
ფიქრთა შენთა არაბესკებს.[1]

1961

[1] არაბესკი – მუსიკალური ნაწარმოებები (ფრანგ, იტალ. და არაბ)

“იქ”

“სიკვდილისა სიკვდილით
დამთრგუნველი”,
ადამის მოდგმა უძლურია
და “იქ” ვერ შეხვდება
ახლობლებს...
“კოლხური ფსალმუნები” –
აღდგომის კუნძულია,
სადაც ღმერთები სახლობენ.

2017

***

სადღაც მეხი ცას ახელებს,
აყრას –
მნათთა ლამობს ჯარი.
მაინც ღამე ვარსკვლავების –
ცივ ღადარზე –
ითბობს ხელებს,
მთვარის ჯირკზე ჩამომჯდარი.

1958

ხილვა: ორმოცდათოთხმეტი იოანე

ათასწლეულების იქით –
        დიდ წარსულში ფიქრს
                 აცეცებ
და პოულობ ორმოცდაათ იოანეს, –
ორ ოქროპირს
            და ორ პოეტს –
                მინჩხს[1] და ცეცეს[2].

1960

---

[1] – იოანე მინჩხი – ქართველი ჰიმნოგრაფი, პოეტი (X ს)

[2] – იოანე ცეცე – ბიზანტიელი ფილოსოფოსი, პოეტი (X ს)

გრაალის თასი

მარსს კი არა,
პლუტონს იქით,
გონი ცისკრად შებორკილი,
სიშორის და ელვის თასმით,
ისევ უხმობს ბრუნოელებს
და გალილეებს
და... გრაალის ოქროს თასში
ქრისტეს ჯვარცმაც
გაიელვებს.

1960

თუთარჩელა

სიმყუდროვეში მზემ რომ ჩაყვინთა
და ცისქვეშეთში როცა
დაბინდდა,
ვნახე: სინათლის რძე თუ როგორ
გადმოდიოდა.
ვარსკვლავების ნაკვერჩხალებზე –
მწუხრის შემომდგარ
მოგვარგვალე
მთვარის ქვაბიდან.

1957

ხევსურეთში

საცალფეხო ბილიკებით,
ნადირობით დაქანცული,
დასიცხული და
მწყურვალი
მოვდიოდით არხოტიდან,
რომ ჭიუხთან,
ვით მოკვდავი,
ცივი წყარო ახროტინდა.

1963

***

ჟამს მწუხრისას მთიებმა,
ვითა ანგელოზებმა,
ღამის ჭერი ახადეს!
დღეთა ნათელს უნთებდნენ
“ძველ დღესა”[1]
და “ახალ დღეს”![2]

1959

[1] – “ძველი დღე” – მამა ღმერთი (დანიელი (4,41,11)
[2] – “ახალი დღე” – ძე-ღმერთი, მაცხოვარი (დ. გურამიშვილი).

მგზავრობა გალილეაში

ოცდაცამეტისას განვლო!..
შენ კი მიხვალ ორჯერ მეტი
წელია და...
გზა წამების,
არ იქნა და არ ილევა!..
ნაზარეთად წოდებული,
შორს ყოფილა გალილეა!

2006

სახალხო სიტყვის ოსტატი

“ხალხი და მხოლოდ ხალხი”

გალაკტიონი

ვითარც პრომეთემ, ცეცხლი რომ
პოეზიის ზევსს მოსტაცო,
უნდა გახსოვდეს ჯვარცმა და
თავმოწონება ლურსმნების!!!
შენ ხალხის გულებს
უსმენდი,
“სახალხო სიტყვის ოსტატო”.*

2017

* 2017 წელს ვაჟა ეგრისელს ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიენიჭა “სახალხო სიტყვის ოსტატის” წოდება.

მაისის ღამე

ბაჯაღლო ოქროს სხივთა სიმებით
აღარ ჰკიდია თაღზე
მზის ჭაღი.
ჩანს სივრცეები უღვთოდ გაშლილი...
ცა –
ვარსკვლავებით სავსე
ჩიჩახვით,
დილამდე ნათელს გალობს შაშვივით.

1957

ორი იუდა

ადამის ძე ისე გაველურდა,
აღარ შერჩა უფლის რწმენა
იოტი
და თაყვანს სცემს ის ორივე
იუდას:
– პირველს იაკობის ძეს...
და მეორეს –
გამცემს –
ისკარიოტელს!!!

1962

კოლხო

“და აჩვენებს საოცრებას მარჯვენა შენი”
(ფს. 44,5)

მორჩა!
გარდაუვლია...
აწ არ ელი სხვა რისხვას!
შენი ცა იმარჯნება...
რომ ბობოქრობს შავი ზღვა,
კოლხო! –
შენი სულია!
მრავალ სხვა საოცრებას
კვლავ იქმს –
შენი მარჯვენა!

2017

ფრთები ჰქონდათ ალბატროსის

საუკუნის მეოცის რომ
კარი ფრთხილად რომ მიხურეს,
სულ უხმობდა ცა კოლხური –
სიყვარულის ალით მოსილთ
და...
იმ ციცქნა ქართულ ლექსებს
ფრთები ჰქონდათ –
ალბატროსის.

2002

მურიცხები

არ ეშვებიან ცაში ხეტებას,
        რადგან ისინი ქალდეს,
                ხეთების –
დაბადების თარიღებია.
და... ვარსკვლავები – (კოლხთ)
მურიცხები,
            ასე უშქარი და
                ურიცხვები,
მილიარდობით წელზე მეტია,
    რაც დაცქერიან ჩვენს დედამიწას,
    დაცქერიან და...
        სიყვარულით არ იღლებიან.

1959

კატაპულტები

სურთ, რომ ქართველებს
თვალი დათხარონ
და რომ კნავიან, კატის კნუტებია,
მათთვის დღეები
არ ნათელობს!!!
“კოლხური ფსალმუნები” –
საქართველოს
ავისმსურველთათვის –
კატაპულტებია[1]!

1993

[1] კატაპულტი – (იტალ) – რკინის ისრების და ლოდების სასროლი მანქანა (ძვ. წ. V-IV სს)

***

ვით ბადრი და ძმანი მისნი,
გმირს ეტრფოდი,
არა მონას.
გმობდი ზევსის სისასტიკეს:
მიტომ გმფარველობდა ნიკე[1],
მასთან ერთად იუნონაც.[2]

2017

[1] 2, 3 – გამარჯვებისა და სიხარულის მომტანი ღმერთები ბერძნულ პანთეონში

1993

სამეგრელო იქცა მეწყრად,
ყველგან ცეცხლის ალს
აფენენ!!!
რა ვიცოდი! თურმე მეც მყავს,
მოღალატე და
ორგული,
“ათორმეტი მოწაფენი” (ლუკა, 461,1).

1993

ჩემი კოლხი წინაპარი

სადღაც,
        უცხო პლანეტების
        იქით,
            ოქროს ვარსკვლავების
ქოხმახების ბინადარი –
        მზეთამზეს ჰიმნს აღუვლენდა
        ჩემი კოლხი წინაპარი:
“ბუა დიდარე ჩქიმი,
თუთა მუმაჩქიმი,,
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხები
და დო ჯიმა ჩქიმი”.
            (მზე დედაა ჩემი,
მთვარე მამაჩემი, მოციმციმე
ვარსკვლავები
                და და ძმაა ჩემი).

1957

ოთხი მოციქული

თავზე რწმენის ცა ეხურათ,
თეთრად უშქარ ღამე ნათევთ
და ივსებდნენ ლოცვით გულებს:
ლუკა,
იოანე,
მათე
და მარკოზი მოციქული.

1966

ძევ ჰელიოსის!

მორჩა,

გათავდა!

ძევ ჰელიოსის! –

ცაში მთვლემარე ვარსკვლავები

უნდა აყარო! –

მირიად წლობით დაუვარცხნელნი.

სამყაროს მიღმა ბინადარი,

შენ ხარ სამყარო –

“უსასრულო და აურაცხელი”. (ბრუნო)

2017

კოლხეთსა და იბერიას

ჩე გოლასთან[1] შეყრილან და,
მიირთმევენ ღვინოს ისევ –
ჰერაკლე და ჰერკულესი,
ცაბაოთ და დიონისე.
და აგიჟებთ "ოჯალეში",
ილხენენ და
იმღერიან...
და ტკბილი ხმა ესმით –
გეშვი[2]!
კოლხეთსა და იბერიას.

1989

---

[1] – ჩე გოლა (მეგრ) – თეთრი მთა
[2] – გეშვი – (მეგრ) – დალიე

დროცა და სივრცეც

ზესკნელი თავზე გვირგვინად გადგას,
და სანთელს უნთებ –
სულიერ მამას.
ცას ელვას სტყორცნი,
ვითარცა ქამანდს
– ათვინიერებ ვარსკვლავთა
კვიცებს.
არსად მედინი, შენ ხარ რადგან:
ეს ცა და მიწაც,
დროცა და სივრცეც.

2017

“კოლხური ფსალმუნების” ოცდაათტომეული

არის ბრძოლა და ომები,
        პორტნა ლექსების
                  და ღაწვის!
ვერ აკეთებენ არჩევანს.
        ზოგ-ზოგთა მთელი ნაღვაწი
        არა ღირს შენი ტომების,
თუნდ ერთის, მცირე –
                  სარჩევად!

2017

ვაშინერს

სიყვარულად მოსვლის დღიდან,
ერთი რამე მაშინებს,
რომ ეშმაკმა არ
მაცდუნოს
და იმაზე ხელი წამცდეს,
რაც ამქვეყნად –
ვაშინერს!*

1978

* ვაშინერს (მეგრ) – ტაბუ ადევს

ჟამი – გიურზა

ქვეყნად დღიდან გაჩენის,
ვით რისხვა გაისმის:
ჟამი არის გიურზა!
“ღმერთი ყველას თავისი
საქმისაებრ –
მიუზღავს! *

2017

* “აპოკალიფსი და დღევანდელობა” (11, 408-409)

“კოლხურ ფსალმუნთა წიგნები”

ჯოჯოხეთის გზას იგნებენ –
რწმენის კაჟით და
კვესითა...
“კოლხურ ფსალმუნთა წიგნების
მკითხველთ,
ღამიდან მოესმით
ხმა, –
“დაკლულ კრავის” კვნესისა.

1961

***

რადგან ქვეყნად რომ მოხვედი,
ცეცხლად,
მიწად და
ჰაერად,
რას იქმ... ვაჟა ეგრისელო!
შენ,
მშობლიურ ძველ კოლხეთის,
ნანგრევებზე დგახარ მტკიცედ
და არ ძალგიძს სხვანაირად!

1970

წიგნი

ეს შტერი კაცობრიობა
ეძებს და
ვერ მიუგნია!!!
(ეძიოს, არა უჭირს რა!)
მამა ღმერთს ხელთ რომ
უჭირავს,
"ეფუთი" არის და ანდა
"კოლხურ ფსალმუნთა"
წიგნია.

1989

შუაღამისას

შორს,
            სადღაც სიჩუმე აფეთქდა
                ნაღმივით!
მეხის ძახილზე სიმყუდროვის
გაიღო კარი.
და შუაღამისას,
            ვითა სიძე, მოვიდა
                მთვარე,
        შეეგებნენ ლოდინით დაღლილი –
ქალწული ვარსკვლავები.

1956

გრძნობს აფსუა,
ალბათ ოსიც

ვერ იგუეს!
ქართველების –
სიყვარული ფიანდაზად
რომ ეფინათ!
და დაკარგეს!!!
გრძნობს აფსუა,
ალბათ ოსიც.
მეცხრე ცაზე რომ ეფრინათ –
ფრთები ჰქონდათ ალბატროსის.
ახლა?!
გახდეს!

1994

მე ვარ ის

მკვდრებიცა და ცოცხლებიც,
ერთად უნდა ავყარო!
ვალი მმართებს მევალის!!!
მე ვარ გონი უმონო,
შემოქმედი სამყაროს!
სხვა კი არა,
“მე ვარ ის!”
(“ვიეკანანდა”)

1999

წუხილი

გზებზე ამდენ ხეტიალით,
წუთისოფელთანაც დავით,
ვახ, თუ გზა აგერია.
და მიადგე მამა-დავითს,
ვით მშობლიურ –
კერიას!

2017

ხილვა: ნაბუქონენცარი

ბაბილონის გოდოლიდან
ხმა რომ უცებ მოდიდდა,
ალბათ გახლავთ მენცარის[1],
დიდ ქალდეველ ხელმწიფის.
ნაბუქოდონოსორის ძის –
ნაბუქონენცარის.

1963

[1] მენცარი – (მეგრ) – ბრძენი, წინასწარმეტყველი

ასურებს და ქარანელებს

ტყუპისცალი მზე და მთვარე
მიჰყვებიან ღელვას უხმოდ.
შენ კი ზღვაზე –
ქარს ანელებ!
და საშველად ჩუმად უხმობ –
ასურებს[1] და
ქარანელებს.[2]

1965

---

[1], [2] – კოლხთა (ქართველთა) – შორეული მონათესავე ტომები

მწუხრი

მწუხრთან უცებ შეჯახებით,
ოქროს მინანქრებიანი –
ჩამსხვრევია მზეს ფარები –
ყრია მნათთა ემალები.
მე კი ღამის მინდორზე მდგარ –
სიცოცხლის ხეს –
ვეფარები
და არ ყოფნას ვემალები.

2017

ხორგის სასაფლაო

გულზე ხელებდაკრეფილი
ჯვრების არია,
მეშინია მე ლოდების,
მკვდრებს რომ ადევთ,
ჩემო გივლი!
ვიცი, როგორ მელოდები...
ჰოდა... მალე შემოგივლი.

2017

თოთი

მამლები კი მზეს ყივიან
        და ცაში კი ვარსკვლავების
        არის ერთი ალიაქოთი.
მთვარე დინჯად –
                დასავლეთით
მიუყვება, როგორც თოთი[1].

1958

[1] თოთი – სიბრძნის ღმერთი

“შუმერო, დიდო ქვეყანავ...”

შუამდინარული მითი

პონტოს სანაპიროზე,
ფაზისს[1] (რედუტკალესთან[2])
შებღაოდნენ ლეგენდებს
ზესკნელს –
ოქროს ვერძები,
რაც ესმოდა “ქვე-ყანას[3]”.
და შენ, ვით წინაპრები,
შუამდინარეთს კი არა,
შენს კოლხეთში ეძებდი –
“ცის და მიწის ქვეყანას”.

1971

[1] – ფაზისი – რიონი
[2] – რედუტ კალე – ყულევი
[3] – “ქვე-ყანა” – შუმერთა საცხოვრისი

დროშა

კოლხეთ-იბერიის დროშა
(ბოლო,
უკანასკნელი),
თურმე იყო სამფერი –
თეთრი,
შავი,
მეწამული,
(გადაშლილი ცა – ამურის)
ისე, როგორც ზესკნელი,
ქვესკნელი და შუასკნელი.

1969

პონტოსა და ჯურჯანის ზღვა

პონტოსა[1] და ჯურჯანის[2] ზღვა,
ადრე თურმე ძმები იყვნენ
(ერთად ყოფნით გაიხარეს!)
მაგრამ...
წარღვნის მუქარაზე
უცაბედად გაიყარნენ!!!

1960

[1] – პონტო – შავი ზღვა
[2] – ჯურჯანის – კასპიის ზღვა

ცხრა ცთომილი

შორს არიან...

მერე რა!

ჰელიოსის შვილთათვის ჩანან

გაუხუნარი:

დედამიწა[1],

ნეპტუნი[2],

სატურნი[3]

და ვენერა[4],

მერკურ[5]-იუპიტერი[6],

მარსი[7],

პლუტონ[8],

ურანი[9].

1969

1,2,3,4,5,6,7,8,9 – ამ ცხრა ცთომილიდან მზესთან ყველაზე ახლოს (60 მილ.კმ) მერკური იმყოფება, ყველაზე შორს კი (ექვსი მილიარდი კმ) პლუტონი დანარჩენები 150 მილ. კმ-ს დაშორებით

სამეგრელოს მეხუთე დალაშქვრა

პონტოს პირას ალბათ მალე,
ჩამოდგება სიმყუდროვე
და კოლხეთი, როგორც ნოე,
უფლის ნებით გადურჩება
წარღვნასა და
წყალდიდობას!
და შენს "კოლხურ ფსალმუნებს" კი
ღვთის ტაძარში დაავანებს,
როგორც "სჯულის კიდობანს".

1993

ქალდეველი

შენ ხმალი ხარ უქარქაშო,
        მოღალატის ქარს მდევნელი
        და რისხვა ავ-მოსურნის,
რადგან შენ ხარ –
                ქალდეველი,
შუასკნელიდან ამოსული.

1989

მოსეს,

ისაკს,

იაკობს

მძვინვარ ათასწლეულებს –
ელვასავით მიაპობს,
რაც აღუოქვა უფალმა,
სინას მთაზე შემომდგარ:
მოსეს,
ისაკს,
იაკობს.

1962

უღმერთობა ზოილის

შენს “ფსალმუნებს” მავანთა
        შური გასდევს ზოლივით,
        ვითარც დიდ ჰომეროსის –
“ოდისეას”...
            “ილიადას”,
უღმერთობა ზოილის*.

2017

* ზოილი – ბერძენი რიტორი და სოფისტი, რომელიც უსამართლოდ აკრიტიკებდა ჰომეროსის “ოდისეას” და “ილიადას” (IV ს. ჩვ.წ.აღ)

უშბა,
თეთნულდი და
შხარა

თოვლის ქათქათა ოკეანეში
ცამდე აწვდილები რომ ჩანან;
ათასწლეულთა ღელვას რომ
აფრენიან:

უშბა,
თეთნულდი და
შხარა –
წინაპარ ლაზთა ხომალდების –
აფრებია.

1960

ისევ ქალდეველები

წარღვნამდე და შემდეგაც,
        შუასკნელიდან
                ზესკნელში,
სხვებს რომ სიბრძნეს ატანდნენ,
        სწორედ ის ქალდეველნი,
        წინ უძღოდნენ ატლანტებს,
ვით უფალი საგების.
მერე ზიქურათებს და
        პირამიდებს აგებდნენ

1962

ღვთაებები

“შვიდნი არიან,
ძმანი არიან”,
მიწისქვეშეთში ქმნიან წესრიგს
ისევ იდეურს.
უსმენენ მზის და მთვარის არიას,
და ქარიშხლები დაბმული ჰყავთ
ქვესკნელს –
შვიდეულს.

1979

N-ს

ნეტავი თავს რად გიტოლებს,
აფსუა და
ანდა ოსი.
შთამომავალს მზით მოსილთა,
მთვარეული გზებით –
მოსულს,
პირველყოფილ მითოსიდან.

1992

***

ვაჟავ!
        შენი სახელი!
        ვჭვრეტ, რომ ათასწლეულთა
        მთა-გორებზე გადადის...
რადგან ლექსის მოხვიად[1]
        მოხველ და მთელ
                სამყაროს
მზის ხელები მოხვიე,
        ისე, როგორც ადადიმ.[2]

2018

[1] – მოხვია – (მეგრ) – ყოვლის წამლეკავი წვიმა
[2] – ადადი – (შუმ) – ელვის ღვთაება

***

ვარსკვლავების ოქროს კბილი
        წამით აღარ უნდა მოგჭრას
        წუთისოფლის ნაყოფმა,
რადგან ყოფნა არის მიკრო,
        და... მაკრო კი –
            არყოფნა.

1969

სინათლის შვილები

სინათლის შვილებს იქით მთიები, –
ჩნდებიან და აღარ ილევიან...
და აწევთ პლანეტების სიმძიმე.
შენი "ფსალმუნები" –
სინათლის შვილებია,
მნათების სიშორეს რომ ციმციმებენ...

1961

ისევ ქალდეველები

ზანზარებდნენ მთები და,
ირყეოდნენ ველები –
ასტონიან ლოდებით
პირამიდებს აგებდნენ
ბუმბერაზ – ატლანტები,
იგივ ქალდეველები.

1971

ანუ და ენლილი

ცის და მიწის "ჭიპლარი"
"ოქროს ცულით" გაკვეთე!
არ ჩანს შენი მომრევი!
ალბათ მიტომ ედებათ
ზოგჯერ ფერი მთებს ლილის.
და...
შენშია ორივე,
"ანუ[1]"-ცა და "ენლილიც[2]".

1962

---

[1] ანუ (შუმ.) – ცის ღმერთი.
[2] ენლილი – "უფალი – ჰაერის სივრცე", (უზენაესი ტრიადის მეორე წევრი, შუამდინარულ პანთეონში.)

ფაზისი

(ვარიანტი)

პონტოს ნაპირზე ჰყვავის ბუნება.
        დგას სურნელება
            უძვირფასესი.
და... ოცდაათი საუკუნეა,
        კოლხი ასულის შინ
            დაბრუნებას
გულისფანცქალით ელის ფაზისი.

1954

***

კანონია ფიზიკის,
ზღვა რომ ზღვაა,
ო, ისიც ილევა და
ივსება...
და ამიტომ წყლის წვეთსაც
ჰქონდა,
აქვს და
ექნება –
ოკეანის თვისება.

1972

ნოდის ქვეყანა

"...დაესახლა (კაენი) ნოდის ქვეყანაში,
ედემის აღმოსავლეთით."
დაბადება თ.ს.

ედემ ბაღის აღსავლით,
სხივს მივყვები ცახცახას...
მას ვეძახი,
სხვა მოდის!
ვეძებ და ვერ ვპოულობ,
მე, კაენის ნასახლარს,
დიდ ქვეყანას და ნოდის.

1967

ზიქურათები

“კოლხურ ფსალმუნთა” ზიქურათების*
ძირში მზე ბუდობს,
ვით უსახელო,
მაღალ ერდოზე ყივის არწივი.
და მას უგალობს შენი ჩანგი,
შენი ებანი.
მათ სარკეებში მაღლა იწევს
ოქროს საყელოს –
ამქვეყნიური საოცრებანი.

1968

* ზიქურათები (შუმერ.) – “ასვეტილი”, მრავალსართულიანი საფეხურებიანი, სატაძრო კოშკები, (“თეთრი ტაძრები”. ძვ-წ.IV ათასწლეული).

ხილვა: ქრისტე, ვიშნუ, ბრაჰმა, შივა

ათასწლეულების მერეც,
ამაღლებულთ ცათა შინა,
ერთარსებათ და
ახოვანთ
ვხედავ: ვიშნუს, ბრაჰმას, შივას
და... იესოს სამსახოვანს.

1977

ჩემო კოლხეთო

და მეც ოდისევსივით,
        წამით აღარ მაშინებს
        ხმა სცილას[1] და ქარიბდის[2].
და მითი მათ ნამუსრის.
რადგან, ჩემო კოლხეთო,
        შენს წარსულში გამირბის –
        ქართული თალამუსი[3].

1993

1, 2 – სცილა, ქარიბდა (ბერძ.) – ორი ურჩხული.
3 – თალამუსი (ბერძ.) – გონის თვალი.

ციხის ცხრა კარიბჭე

ყოფნის ციხე-სიმაგრე
        სიკვდილს ვეღარ დაიჭერს!
        ცაში მნათთა ცხედრები
ყრია, როგორც ნახერხი,
        მოსრა რვავე კარიბჭე,
        მაგრამ მეცხრის გაღებას.
ჯერ ვერაფრით ახერხებს.

2017



მზის შვილები

მილიარდი წლების იქით,
ლაჟვარდოვან კოლხურ ზე-ცას,
სიყვარულად მიშლილები –
ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავები,
თურმე იყვნენ კოლხი დედის
მზის შვილები.

1966

ა პ ო კ რ ი ფ ი

უფლის ლოცვა და ვედრება,
“ბიბლიიდან” ამოკრიფე,
სპეტაკი, ვით უფლის წვერი.
და “ფსალმუნებს” ცად აღავლენ,
ისე როგორც “საღვთო წერილს”,
თავს არიდებ აპოკრიფებს.*

2001

---

* აპოკრიფი (ბერძ.) – საიდუმლო, დაფარული. ბიბლიური თხზულება, რომელსაც ეკლესია არ ცნობს.

ზღვათა სამეფო

ეს გახლავთ ზღვათა სამეფო
თავის ველ-მინდორ-
მთებიან!
(ატლანტს ვამსგავსე მე უფრო.)
“კოლხური ფსალმუნები” კი,
“ზურმუხტის თხზულებებია”,
სად სიბრძნის ღმერთი –
თოთი რომ მეუფობს.

1992

ურის, ურუკს, ერიდუს

წყვდიადს ათასწლეულთა,
წამით აღარ ერიდე,
გონის თვალით ეწვიე,
ურის[1],
ურუკს[2], ნიპურის[3],
კიშს[4],
მარის[5] და ერიდუს[6].
1963

1, 2, 3, 4, 5, 6 – შუმერთა ქალაქ-სახელმწიფოები მესამე ათასწლეული.

***

აი, შენი სამეფო,
    სავსე თაფლის ფიჭებით,
    რძით,
        ყველით და ერბოთი.
ცაში ელვად იჭრება –
    სურნელება "ფსალმუნთა",
    ვითა წიგნის ნებროთის*.

1984

---

* ნებროთი – ბიბლიური გმირი, ქამის ძის ხუსის (ქუშის) მითიური შვილი (ბაბილონის სამეფოს მითიური დამაარსებელი.)

***

ევქსნის პონტოს რომ აღელვებს –
მოთქმაა ის კოლხი ასულის.
და ზარიც –
კოლხური ზარია,
მთვარე კი “ფესტოსის დისკოა”,
კოლხურ ცის –
ოქროს ყალიბში ჩასმული.

1998

წყალი ანუ "მოსვლა"

მზისწილნაყარ ჩვენს წინაპრებს,
"მოსვლა",
ასე სწამდათ ოდით:
რომ ყოველი წყლიდან მოდის...
წყლიდან იშვა ყოვლივე.
არის –
მათი მამაც,
დედაც,
უფალიც და უფლისწულიც.
და...
"მეუფობს წყალსა ზედა" –
უსამანო უფლის სული.

2015

მეგრული ჯარგვალი

ღვთის თვალით დაჰმზერს ცა მრგვალი,
არა ჩანს ღრუბლის ნასახი.
ბალახს ვერ ნახავთ მოსრესილს.
შენი მეგრული ჯარგვალი,
მჯობნი ათასი სასახლის,
სული ოქროთია ნაგები,
ვით კიდობანი მოსესი.

2017

მოდგმა ბუმბერაზების

ვითარცა ღვთისშვილები,
კოლხები და
ლაზები,
ზღვებს და ოკეანეებს
ქარებივით სერავდნენ,
რადგან იყვნენ ისინი
მოდგმა ბუმბერაზების.

1959

წყლის ჭურჭელი

“ადამიანის 75% წყალი შეადგენს.”

ლამის წყალმა წაგიღოს,
თუმც რწმენის ცა გახურავს –
უძირო და
უჭერო!
შენ ხარ უფლის მსახური-
ა დ ა მ ი ა ნ ო ! –
მოსიარულე –
“წყლის ჭურჭელო!”.

1972

უფლის სახლი

"...უფლის სახლის მთა, მთათა
სათავეში დადგინდება".
ესაია წინასწარმეტყველი

სიცოცხლის ხე აქვე ხარობს,
შუასკნელის და
ცამყარის.
ბევრ იდუმალ ამბავს მალავს,
მყინვარი რომ ცას თავს ახლის,
ჯომოლუნგმა?
არც შამბალა,
ჩე გოლაა* უფლის სახლი.
1979

---

* ჩე გოლა (მეგრ.) – თეთრი მთა (სამეგრელოს მთიანეთში.)

სიცოცხლიდან სიცოცხლეში

ყოფნა არა!
        არყოფნაა,
        ამ ცხოვრების შნო და ეშხი,
რადგან სიკვდილს სულ პატარა
            სიცოცხლიდან,
გადავყავართ –
        მარადიულ სიცოცხლეში.

2017

ლოტოსი

მეუფოდა ქაოსი...
        არ ჩანდა ცა კოლხეთის.
        არ ეკიდა ცის თაღზე მთვარე,
                    როგორც გიტარა.
შენ არ იყავ და მიტომ,
                    არაფერი მიკვირდა.
და...
        მერე შენც
                    ვითა "რა"*,
სიმღერებით მოხვედი,
        ლოტოსის თეთრ კვირტიდან.
1957

---

* რა (ეგვიპტ.) – მზის ღმერთი – სამყაროს, ადამიანებისა და ღმერთების შემქმნელი.

თეთრი ღრუბლები

მთვარის მაღალ კუბოსთან,
        როგორც ჭირისუფლები
        ჩამომსხდარან ღრუბლები
(წამით ცრემლიც იელვებს.)
        და შავები კი არა,
        სულ თეთრები აცვიათ,
ისე, ვით ინდიელებს.

1962

დიოგენე
ანუ
თავისუფლება

მზის და უფლის მომლოდინე
ის ღმერთკაცი –
დიოგენე,
ისევ ისე ქვევრში ზის და...
ერთი წამით აღარ ტოვებს,
არც სასოს და
არც იმედებს
და საშველად კვლავ მოუხმობს –
ჰერაკლეს და
არქიმედეს!

1977

უჟამო და უმანძილო

დღე-ყოველი შვიდგზის ლოცვას,
ხარ მინდობილ –
მიჩვეული.
შენში ძილი აღარ ძილობს,
რადგან შენ ხარ
ღვთის რჩეული.
უჟამო და უმანძილო...

2015

ცა

ვარსკვლავების სულები,
მოდიან და
მიდიან,
სხვა რა უნდა ინატრონ.
ცა[1] კი ღმერთზე დიდია,
ღმერთი ცაში ბინადრობს.

1969

[1] ინდური რელიგია "ბრაჰმანი".

თიამათი

ლეგენდიდან მოვარდნილი,
        წამი რაა,
                არ ისვენებს,
ერთი არა, დღეა ათი!
        და წალეკვით ემუქრება
        ხმელეთს,
                რისხვა თიამათის[1].

1958

[1] თიამათი (აქად. "ზღვა") – ზღვათა სტიქიის დიდი ქალღმერთი. ქაოსის, ქვესკნელის განსახიერება.

ელვა

ჩემი ლოცვა,
ვედრება,
მივხვდი ღმერთმა ისმინა,
როცა ელვამ –
მზის სულმა,
მეცხრე თაღზე მისულმა,
უცაბედად გაბზარა,
ვარდისფერი ცის მინა.

1959

პოეტი

ვითარცა დავითს დიდგორში,
        გაგიმარჯვნია ბრძოლებში!..
        შენ ხარ პოეტი, რომელშიც –
ცა და მიწა რომ ერთდება!
და გრძნეულ –
        "კოლხურ ფსალმუნებს"
        გალობენ ანგელოზები
და მადლს სწირავენ ღმერთები.

2017

ზოდიაქო

უბედური სხვა არის,
შენ კი ხარ ბედნიერი,
რადგან ძალგიძს კუთვნილი
მტერ-მოყვარეს მიაგო.
რადგან შენი შორი გზა,
ისე, ვით ზოდიაქოს*,
არის მარადიული
და თან ვარსკვლავიერი.

2016

* ზოდიაქო (ბერძნ.) – თორმეტი თანავარსვკლავედი

ქალდეველთა ქვეყანა

(ვარიანტი)

მოქუხდა რძის შადრევანი...
ყურძნის,
ხორბლის,
ბროწეულის
ხვავი ოქროდ ეყარა
და...
ეს იყო ქალდეველთა
უდიდესი ქვეყანა.

1965

დარიოს პირველის ლაშქრობა კოლხეთში

ღვთისშვილებს გვტანჯავს ორივე –
ავდარიცა და
დარიო.
ირევა ჟამთა მორევი
და ვითა რამზეს მეორე[1],
კარს მოგვდგომია დარიოს[2]!!!
კოლხებს აუსხამთ აბჯარი,
რეკავს ჯურხაის ფარიო.
პონტოს ზღვიკარად,
ვით ქვიშა,
ყრია მომხდურთა მკვდარიო.
1993

---

[1] რამსეს მეორე – ეგვიპტის ფარაონი (ძვ.წ. 1350-1205)
[2] დარიოს პირველი – სპარსეთის მეფე (ძვ.წ. 522-486.)

***

დრო და ჟამი ვეღარ ურჩენს
ცას მნათობთა –
ოქროს წყლულებს,
ბნელია ცის შავი ხვრელი.
თუმც სინათლით მზე არწყულებს –
რაც არსებობს ყოველ
ხილულს
ნაგებს უხილავის ხელით.

2017

ჰიპარქე

ქვეყნის აურზაურში,
    რადგან არ დაიკარგე,
    შოორეული შენი გზა.
რადგან არ დაითალხა,
    სიტყვის ასტრონომიის
    რადგან შენ ხარ ჰიპარქე*,
ზოდიაქოს გზასავით,
    შენიც მივა "ცისთაღთან".

2016

* ჰიპარქე – ასტრონომიის ერთერთი ფუძემდებელი. (II ს. ძვ.წ.)

ლოცვა

ღვთისმოსავი დედაჩემი,
მეჭეჭიან მეზობლის ბიჭს,
სავსე მთვარის
მიმქრალ შუქზე
ულოცავდა...
ედგა ჯამი –
ლივლივა წყლით და ეჭვებით.
სამი, ოთხი ლოცვის მერე,
თვით ქრებდნენ მეჭეჭები!!!

1958

შენი მდინარე

ათასწლეულთა ღამის წყვდიადში
    რომ ანათებს, კოლხური მთვარეა,
    მთიები –
        ზეცის ღმერთებია.
შენი მდინარე სხვა მდინარეა
    სადაც შავი ფრინველები
        თეთრდებიან.

1992

ქალდეური რვეული

ნაბუქოდოს ხმები მესმის,
        კოლხთა წარსულს,
                ვით მასპინძელს,
სიყვარულით როს შევუვლი.
        მაგრამ ერთად ვერ ავკინძე,
        ბაბილონში გაფანტული,
“ქალდეური” –
                ეს რვეული.

1994

ანუნაქები

ქალდეველთა მითებში
            დგანან მთები ორსული
            და ცას მხრებზე იდებენ!
უფლის ძალას აქებენ...
და ეს პირამიდები
ნაგებია ქალდეველ –
            ნიბურიდან მოსული
            დევ-გმირ ანუნაქების*.

1962

* სხვა პლანეტიდან მოსულ ადამიანთა პროტოტიპები.

***

სადღაც ქვესკნელს,
ედემ ბაღს,
ათასეულ წლის მერე,
ვით სტუმარი შეუვლის,
ჩემი, როგორც პოეტის.
ფიზიკური კი არა,
სულიერი სხეული.

1964

თორი

ერთი კი არა,
ეს მე ვარ ორი
(ზეცაც და მიწაც!)
და ვითა თორი[1],
“მე ვარ ის, ვინც ვარ!”.

1964

[1] – თორი – ეგვიპტური ღვთაება.

ცა კოლხური

ჯერ კიდევ როდის,
ჟამს აიეტის,
ჩემს კოლხურ ზე-ცას,
აწუხებდა მნათთა ბუგრები[1]:
ახლა კი ჩემთვის ცა ვარსკვლავებს
აღარ იმეტებს,
და ღამით ელვის ენას მიყოფს
და მემუქრება...

1977

[1] – ბუგრები – წყლულები.

ხილვა: ან მარე

ხუთიათასწლეულის იქით –
პირამიდებთან,
ცეცხლის სვეტი ინთება!
ქრება...
ისევ ნარნარებს
და არ ვიცი, ის ცეცხლი
რად მაგონებს ან მარეს*.

1962

---

* ან მარე – ცის კაცი, კოლხეთ-ქიმეთის (ეგვიპტის ხელმწიფე (5185-5120 წ.წ.)

***

ვიღაცა მიზომავს ქართულ ცას,
ელვის მეტრით და არშინით
და შურით უმზერს –
მცხეთის ჯვარს,
სვეტიცხოველს და უბისას.
მე, ჩემს "ფსალმუნებს"
ვაშენებ,
ვით სოლომონი "უფლის სახლს".

2017

კოსმოსი

მაკრო,
მიკრო სამყარო,
სავსე იდუმალებით,
შენშია და შენა ხარ –
ღვთიერ ცეცხლით
მოსილი.
და... შენა ხარ კოსმოსი!
უსივრცო კოსმოსივით.

2017

ატლანტიკის ოკეანე

“პირამიდების მშენებელი
ბუმბერაზი ატლანტები –
ქალდეველები იყვნენ”.
ეგრისელი

მძვინვარ ათასწლეულთა –
დაბმულია თოკებით,
მაინც დედა პონტოსკენ
დღენიადაგ იურვის,
ატლანტის ოკეანის
სული დაუოკები
კოლხურ-იბერიული.

1960

ფსალმუნი – 9999

ფრთაგაშლილი,
თეთრყდიანი შენი წიგნი,
ქარში აფრას მოჰგავს ლაზის
(არჩანს ზვირთთა მიწურები.).
შენი ციცქნა "ფსალმუნები"
ნოეს ვაზის,
გიგანტური მტევნებია – ფერი თაფლის,
საიდანაც თითო ჩაფი,
სიბრძნის ღვინო იწურება...

1999

არაგვი

მთებს გამოექცა არაგვი
(თუმც ჭიუხები იჯავრა!),
მარცხნივ გახედა –
“მცხეთის ჯვარს”,
უფალი გამოეცხადა!
გადაიწერა პირჯვარი,
მუხლმოიყარა მცხეთასთან.

1956

წყალთა სულები

იყო ჟამი, როდესაც
ქვეყნად არ არსებობდა –
ცა და მიწა,
არც სივრცე!
შემდგომ წყალთა სულებმა,
ყოველს სული ჩაუდგეს
და წყვდიადი გაცრიცეს.

1966

რეაკიბელა

კოლხი რეაკიბელაა*,
        კალთაში რომ უწევს
                პირმშო,
ვით მარიამ ღვთისმშობელს,
        (დაატარებს ცა მზეს ხელში
                აყვანილს.),
კოლხეთია ადამის ძის
        საშოცა და აკვანიც.

1961

* რეაკიბელა (ბერძ.) – ადამის მოდგმის პირველი დედა.

მზე

მილიარდი ვარსკვლავი,
ღამის ანგელოზებმა
მთვარეს ეტლში შეუბეს!
და დატოვეს მიწაზე ოხრად
დღის ნასუფრალი.
ქვეყნად ყოვლის მეუფე –
მზეა, –
თავის – უფალი.

1960

კოლხეთი

ჩემი შავი ზღვისკარად –
        შური,
                მტრობა ირევა,
ვით სკა ახალნაყარი,
        ჟამს ელიან მოხელთვის,
        რადგან მთელი სამყაროს –
ჭიპლარია კოლხეთი.

1968

წარღვნა კოლხეთში – 7500 წ.

აღარ ჩანდნენ მწვერვალები...
        და რაც უყო წარღვნამ კოლხეთს,
            მტერი მტერს ვერ უზამს!
იქ,
        სადაც მთა ზე-ცას ეკვრის, –
            დიდ ქვაბულში,
                სადღაც ეკის,
რა უნდოდა ცხრა ტონიან ღუზას?!

1959

კოლხეთსა და ეგვიპტეს

იყო რწმენა,
                    როდესაც
        (კოლხეთსა და ეგვიპტეს.)
მიცვალებულებს საფლავში.
        ოქროს და ვერცხლს ატანდნენ
        რადგან სწამდათ:
                    მდიდრულად,
შეხვდებოდნენ ისინი –
“ქვე-ყანაში” ბინადარ,
                    მათ წინაპარ ატლანტებს.

1961

ვითა ხიდის მირაბოს

ვარსკვლავებით მოციმციმე,
შორს ჩანს მთვარე,
ვითა ხიდი მირაბოს.
და... ჩადიხარ დღე-ღამ
ქვესკნელს,
დღის და ღამის გვირაბით.

2017

***

მშობელ მიწას, ვით დაჰპირდა,
მოკაზმული და
მორთული,
მოადგება ზღვა ნაპირს და,
წამიერად ჩამოჯდება.
ბუდასავით ფეხმორთხმული.

1960

წარწერა დავითფერულზე

ოსმალოს და თათარს ეპყრა
ტაო-კლარჯეთი და
სამცხე!!!
მე,
დავითმა, თექვსმეტისამ,
“მიველ,
ვნახე,
დავამარცხე!”.

1957

ცა და მიწა

ცა სულ სხვაა...
მიწა კი,
სიცოცხლის და სიკვდილის
დიდი სათამაშოა...
კოლხეთი კი სამყაროს –
პირველქმნილი
საშოა.

1986

***

ევქსნის პონტო –
ოკეანეა ატლანტის
და იქ ბინადარ –
წინაპრის სულებზე ლოცულობ...
შენი "ფსალმუნები" კი
"მთვარის პირამიდის
გვირაბია".
კოლხეთის "ქვე-ყანის"
იდუმალებით მოცული.

1977

ოჯალეში

უფლის ხილვად რომ მიიწევს
მაღლა ცისკენ,
მან უნდა თქვას, ვაზი ვარო,
რადგანაც ის ადამის ძის
ცოდვას აღარ ამძიმებს.
“ოჯალეში” ღვინო არა,
საზიარო
გახლავთ უფლის ბარძიმი.

1969

მზის შვილები

იქ იყო მათი საცხოვრისი
და ოქროს სხივებად
მიშლილები,
სადაც ცა და მიწა ერთდება!
კოლხთა წინაპრები –
იყვნენ მზის შვილები
ანუ ნახევარღმერთები.

1960

წყურგილები

გზა შორია და უსასრულო,
მთებს მიღმა,
ღრუბლების მთებია,
და მთვარე ჰგავს ბოლო მოჰიკანს.
შენი "ფსალმუნები" ცივი,
ციცქნა წყურგილებია*,
მგზავრმა რომ წყურვილი მოიკლას.

2009

---

* წყურგილი (მეგრ.) – მიწიდან ბუნებრივად ამოსული ბროლის წყარო.

ელდორადო

აია, ეა და კოლხეთი
ერთია, ვითარცა სამება...
ათასწლეულების ჯადოა,
სამყაროს ასე რომ ამშვენებს!
შენი "ფსალმუნები" –
ოქროს ქალაქი –
ელდორადოა,
ზღვისკარად,
ჩე გოლაზე ნაშენი.

2016

ნეიტრონი

ალქიმიის ფერად ქვაზე,
                  დრო დამდგარა სიტყვის
ლესვის,
                  ლესავს ძუკუც,
    მელიტონიც.
და სურთ რუსთაველის ლექსი
    (ისე, როგორც ნეიტრონი).
    რომ აქციონ პროტონად
                  და ელექტრონად.

1958

ვარსკვლავები – შვილებია სინათლის

ღამეულ სამყაროს იტევენ,
ზარები რომ რეკენ
ეკის და სინას მთის..
ობლად დაყრილები და
ტიტვლები
ვარსკვლავები –
შვილებია სინათლის.

1959

***

მკლავდაკუნთული,
  ბუმბერაზები –
      ეხეთქებოდნენ ნაპირს ზვირთები...
ღელვაში ვიდექ, როგორც საპყარი.
უკან ზღვა იყო...
      წინ... ტყე წიწვების.
და... ჩემს უჩინარ ციცქნა სამყაროს,
            მთელი სიცოცხლე
ვაკოწიწებდი.

2017

ბორობუდური

კოლხეთის წარსული ცეცხლი და
ხანძარია,
სადაც ქარიშხლები ქრის ომების,
შენი "ფსალმუნები" – ბორობუდურის[1]
მსგავსი ტაძარია,
სადაც ნირვანას[2] დარაჯია შენი –
კოლხური "ქვის ლომები".

2016

---

[1] ბორობუდური – მონუმენტური ბუდისტური კომპლექსი (IX ს. კუნძული იავა).
[2] ნირვანა (სანსკრიტ.) – გაქრობა... უდიდესი ნეტარება.

ვარსკვლავები – მიცვალებულთა სულებია

ადამის ძის გაჩენიდან
    მკვდრები ურიცხვი და
        ულევია...
ცად მოციმციმე ვარსკვლავები –
        მიცვალებულ წინაპართა
            სულებია.

2001

“მეფეთა ველი”

მტვრიან ათასწლეულებს
    შლი, ვითარცა მარაოს.
    და, ვით ჰოვარდ კარტერი*,
ეძებ “მეფეთა ველზე” –
        კოლხ “ქვის კბილა” ფარაონს.

1977

---

* ჰოვარდ კარტერი – ბრიტანელი ეგვიპტოლოგი, რომელმაც 1923 წელს, ძველ ეგვიპტურ ქალაქ თებესთან “მეფეთა ველზე” აღმოაჩინა მეფე ტუტმის (ტუტანხამონი) (ძვ.წ. 1400) ოქროს სარკოფაგი... აგრეთვე მეფის თუ დიდებულის მუმიფიცირებული სხეული, რომელსაც “ქვის კბილი” ეკეთა.

მარადიული სივრცე

მეხთამტყორცნელ ზევსივით,
ელვის ოქროს ბიგელით,
ცისკენ მარად იურვი,
რადგანაც იქ
მოგელის –
სივრცე მარადიული...

2013

ამენტის დარბაზები

ზეცა გაჭაღარავდა...
            და მიწა კი დაბერდა!
            ვიცი, შენ რა გაბრაზებს,
– ღირსნი არა,
                  უღირსნი,
რომ ელიან ამენტის* –
                  მოჩახჩახე დარბაზებს.

1977

---

* ამენტი – სახელდებულ ქვესკნელში მდებარე მიცვალებულთა დარბაზები.

ისევ ზოგ-ზოგ ვაი მეცნიერს

ყველას და ყოველს,
ვით ბუმერანგი,
დაუბრუნდება მტრობა
უკანვე!
და აი, ახლა, როცა კოლხეთს
ისრებს უშენენ,
ამით რუსთველის საქართველოს
დედას უკლავენ!

1993

ქალდეველთა ქიანა-ქანაანი

ქალდეველი რვა მეფე.
            რვავე ლეგენდარული
            ჰყავდა ღვთიურ ბაბილონს.
რომლებმაც მტრებს მტრობა და
გაჩენის დღე ანანა...
            მიტომ დიდხანს ჰყვაოდა
ქალდეველთა ქიანა*-ქანაანი.

1979

---

* ქიანა (მეგრ.) – ქვეყანა.

მეჟამნე და მეფსალმუნე

ასწლეულებს გადუქროლებს
    მზის ფრთიანი შენი ჰუნე!
        ზღაპრულ კოლხეთს
            არ ჰყოლია
შენებრ,
        ციდან მოვლენილი,
        მეჟამნე და მეფსალმუნე.

1993

სულთა სამყოფელი

“საშოს მსგავსია ქვესკნელში
სულთა სამყოფელი”.
მესამე ეზრა

ცხოვრების ვრცელ მინდორზე,
სიცოცხლის ხის ნაყოფი ხარობს,
მაგრამ ვერ ხარობს!
მიტომ წყვდიად ქვესკნელში
ეძებ სულთა სამყოფელს.

2009

მოიას ქანდაკებები*

რომ ჩამწკრივებულან
            შავი ზღვისკარად,
            შენი "ფსალმუნები" –
ქანდაკებებია მოიასი,
        რომლებში წინაპრის სულები
        ბინადრობენ.

1999

* აღდგომის კუნძული (1250-1500 წწ.)

ნოეს ვაზი

ისეთ ლეგენდებს ჰყვებიან,
კაცი რომ გადაირევი –
თურმე კოლხეთში
ნოეს ვაზს,
ესხა ისეთი მტევნები,
ორკაცს მხრებზე ჯოხ
გადებულს,
სვენებ-სვენებით მოჰქონდათ,
ვითარცა ნანადირევი.

1959

ეზოთერული

“კოლხურ ფსალმუნთა” მდინარე
მოულოდნელად მოდიდდა,
მიტომ ჩანს უფერული.
რადგან ის ვით კოლხეთი,
ლეგენდიდან მოდის და
არის ეზოთერული*.

1963

* ეზოთერული (ბერძ.) – შინაგანი, საიდუმლო, დაფარული.

მზის ჩასვლა

(ვარიანტი)

ცათა მიღმა აბრწყინდა
მნათთა ოქროს მესერი
და მიწას კი ხმა ესმა
მომაკვდავ დღის
მუდარის.
მზის ბაჯაღლო კუბო კი
მწუხრმა ზღვად ჩაასვენა
და ზედ გადააფარა
მიმქრალ მთვარის სუდარა.

1960

ისევ ლოდინი

ორი ათასწლეული მიილია წამების,
ვისაც ელი ნიადაგ,
არ იქნა და არ მოდის!
და შენ, როგორც კაენი,
უნდა გადაიხვეწო –
“აღმოსავლით ედემის”.
დიდ ქვეყანაში ნოდის.

2001

ჯრუჭის ოთხთავი

შოორეული წარსულიდან
ხმები ლოცვის და
ვედრების
ესმის, ვით სალამურების,
სულს,
ულხინს თუ უჭირს!
ჩემო შენი "ფსალმუნები"
– "ოთხთავია ჯრუჭის".

1973

***

მწუხრმა ღამის ბილიკით,
ექვსი ძმის და ორი დის
ხსოვნა ბევრჯერ მოდენა...
მატირა და მაწვალა,
შემდეგ სოფლის შარაზე
უთავბოლო წანწალმა,
უეცარი წაქცევის
შემდეგ მოულოდნელად,
წამოდგომაც მასწავლა.

2017

***

სიჩუმის კუნძულებიდან
    მოაქვს წყლის სულთა კარეტას,
        ზღვად დაღუპულთა აკორდი.
და მიწა საწყლად შესცქერის
თვალჩალურჯებულ მთვარეს და...
        ცას –
            ვარსკვლავებით
დაკორტნილს.

1956

ხილვა: ატლანტიდები

დიდ წინაპართა ხსოვნის ხატება –
  ათასწლეულთა იქით ინათებს
  და წყვდიადს ნათელს
            ატანს დიდების.
ვჭვრეტ: ოცტონიან ლოდებს როგორ
ეზიდებიან
და აშენებენ პირამიდებს და
  ზიქურათებს
      ქალდეველები –
      ბუმბერაზი ატლანტიდები.

1963

***

ყოფნა-არყოფნის ორომტრიალში,
    მოკვდავს,
        სიკვდილი ვინც აგარიდა,
საოცარი და ღიმილისმჩენი,
        მის ხსოვნას მოაქვს
            წყევლა მარიტას:
“სიკვდილზე უწინ,
        ბევრად ადრე მოგესპოს დღენი!”.

2000

***

მწუხრს ჩამოაქვს შოორეული
ვარსკვლავების ოქროს ჰანგი,
მიწამ გახსნა ცხრავე კარი.
და დაგვცქერის ციდან მანქი –
“მარგალითი, გინა მთვარე!”.

1961

წმინდა მამები

მხოლოდ ქრისტეს რწმენისათვის,
ტანჯვითა და წამებით –
გადმოლახეს მთები და
ცხრა იმდენი ველები,
და მცხეთას რომ მოადგნენ
ო, ის წმინდა მამები,
ასურელნი კი არა,
იყვნენ ქალდეველები.

1977

ქა-დინგირა[1]

მილეთ ბრბოთა ქაოსში,
სიკვდილს ვერვინ დაიჭერს,
სქანი გოლუაფირო[2].
და... აგებდნენ ბაბილონს
ვითარცა –
"ღვთის კარიბჭეს".

1967

[1] – "ქა-დინგირა" (შუმ) – "ღვთის კარიბჭე"
[2] – "სქანი გოლუაფირო" – (მეგრ) შენ შემოგევლე

ელდორადო
ანუ
ოქროს ქვეყანა – კოლხეთი

არესის ლურჯ ჭალებში
ვაზებს მხრებზე ეკიდათ
ტონიანი მტევნები,
სკებში მთებად ეყარა
თაფლის გოლეულები.
და მედეას ბაღებში ქუხდნენ
რძის შადრევნები,
ურიცხვი და
ულევი...

1960

***

ცივ სარეცლებზე წვანან ღრუბლები
და მთვარის ცეცხლი
ვეღარ ათბობენ.
ცა გადაცურა მეხმა გლისერად.
ელვამ ცას მაჯა –
გადაუსერა
და ნათლის სისხლი მოჩქეფს
მნათობებს.

1958

სჯულის კიდობანი

“გაიღო ცის ტაძარი, გამოჩნდა
კიდობანი”
“გამოცხადება”, 11,19

არსაიდან მოსული
ჟამთა ბრუნვა გადაშლის,
წარღვნას და
წყალდიდობას.
შენ კი ზე-ცის ტაძარში
ეძებ “სჯულის კიდობანს”.

1971

შუმერთა ქვეყანა

“ო, შუმერო, ცის და მიწის ქვეყანავ!”
შუამდ. მით. ლექსი

ზესკნელი და ქვესკნელი
ღმერთმა ერთად შეჰყარა
(რომელთაც მე ვუმღერი).
და... იყოო შუმერი –
“ცის და მიწის ქვეყანა!”

1979

***

“ბწკალთა” მშვენიერ ასომთავრულით,
ღვთის სადიდებელს ისევ
წერს ვაზი.
ისევ გალობენ დილას შაშვები...
ძნელია ასვლა მაღალ
მწვერვალზე
და უფრო ძნელი – დაბლა დაშვება.

2017

ენლილის მთა

“ნინგირსუ, ენლილის მუხლი,
რომელიც მთამ შობა”
შუმ. მითოლოგია

მიღმა ათასწლეულთა –
პონტოს სანაპიროზე,
მზისებრ ტიტველ-შიშველი
დარბის შენი ბავშვობა –
აქილევსის ფარ-შუბით.
თუ ენლილი* მთამ შობა,
შენ
კლდისგან ხარ ნაშობი.

2001

* ენლილი – უზენაესი ღვთაება შუმერულ პანთეონში

ღვთის შვილები

სუფევდა ქარი და ქაოსი
    და შიშს მუხლში ედგა შიშივე.
        ცა იყო,
                ვითარცა ალმასი...
და მიწა ელოდა ღვთისშვილებს:
        გილგამეშს,
                ენმერქარს,
    ნარმასინს.

1972

***

მთვარე მიჰყავთ ვარსკვლავებს
ოქროს ფრთების ფათქუნით.
და მე მინდა, ოცნებამ
ფრენას ამიყოლიოს...
რასაც არ-ამქვეყნიურ სასწაულებს
ვანიჭებ:
ზესკნელს მიღმა –
ქვესკნელის
მივეახლე პოლიუს
და შევაღო შუასკნელის
ზე-ცის ცხრავე
კარიბჭე!

2017

ივლისის ღამე

დაღლილებს და დაქანცულებს,
ჩაძინება უნდათ ნავებს!
ქარი კვლავ არარაობს.
ცხელა...
და ცა უნანავებს
ღამეს მთვარის მარაოს.

1952

***

ჩე გოლადან[1] თუ მთიდან პარნასის
ფრთიანი რაშის ჭიხვინი გესმის!
უნდა გახედნო შენ –
ის ულაყი.
შენ შავი ჭირი შეგყრია ლექსის,
ვეღარ მოგარჩენს აწ ესკულაპი[2].

1952

---

[1] – ჩე გოლა – თეთრი მთა
[2] – ესკულაპი – (ლათ) მკურნალობის ღმერთი

***

ვით დღე და ღამე,
სიკვდილ-სიცოცხლე
ერთია და ნუ გაჰყოფ ორად,
ერთია ცრემლი და
ეს ღიმილი.
ეცადე, ჩემო! რომ კიპლინგივით –
“გამარჯვებას და
დამარცხებას
თანაბრად შეხვდე
და ამ ორ თაღლითს მიეგებო
ტოლად და სწორად!”

1978

***

ვეალერსებით მშობლიურ მიწას
მაგრამ ვერ ვაწვდენთ ფიქრს
სამყაროს უსაზღვროდ გაშლილს
და ვერც მნათობთა ღიმილს და სევდას.
ერთი კი არა,
მილიარდი მზე არის ცაში,
მაგრამ შორსაა და ვეღარ ვხედავთ.

1989

***

პოეზიის წარღვნაა და...
ისმის ოხვრა და
გოდება...
და იმედის არ ჩანს აბი!
გადარჩება,
ვინც გვირაბის
ბოლოს ნათელს ელოდება!

1987

***

მთვარე შენთან ახლოა
      და სიშორით –
            მზე იწვის,
წარმართი ასურივით.
      კვლავ გაწვალებს
            შენ მიწის –
ზეცად ქცევის სურვილი.

2000

შეგონება

მაღალ მთათა მღვიმეებს –
თავი არ შეაფარო!
და ეცადე ქართული –
პოეზიის მეცხრე ცა,
რომ შენ ერთმა –

დაფარო!

1985

ბედიის ოქროს ბარძიმი

აფსუათა ნაშიერნი,
ათასი წლის მერეც, მახვილს,
ქართველებზე ლესავენ!!!
(რაც სიცოცხლეს ამძიმებს!)
მე კი, ჩემო,
აქ ბედიის ბარძიმით
ვსვამ ცეცხლოვან სადღეგრძელოს
ერთიანი საქართველოს
დიდი მეფის –
ბრძენი ბაგრატ მესამის*.

1992

* ბაგრატ მესამე – (975-1014 წ.წ)

***

ნათელს იდუმალების
მზე შორიდან გასხურებს –
მწველი და უნაზესი!
რადგან შენ ხარ პოეტი,
ვით გალა ხელდასხმული
აპოლონის და
ზევსის.

2002

***

(ვარიანტი)

დედის –

გეას* ხმა გესმის

და შენც იქით იურვი,

სად მიწისქვეშ მარხია

სიბრძნე ათასწლეული –

კოლხურ –

იბერიული.

2002

30-ე პარალელი

* გეა. (ბერძ.) – მიწისა და მიწისქვეშეთის, ქვესკნელის ქალღმერთი.

მაშინ ქვეყნად აღარ იყო
პარას ჭალა,
პარას ველი.
მაგრამ ქუხდნენ წარღვნამდელი
ქალაქები, –
ბინადარი –
30-ე პარალელის*!

2001

* 30-ე პარალელზე მდებარეობდა წარღვნამდელი ქალაქები: ერედუ, ბადთიბისა, დარაქი, სიფარი, შურუფაქი; ამჟამად მდებარეობს ეგვიპტის პირამიდები, ბერმუდის სამკუთხედი, ჩინური კედელი, ინდოეთის წმინდა მთა კაილას და სხვა

მზე ინდური ვედების

შოორეული ნათელი –
  გულს მალამოდ ედება,
  ასალკლდევებს და იცავს,
ისე,
  ვით ქალდეური –
  მოჩახჩახე მთვარის ცა,
  მზე ინდური ვედების.

1999

ვაჟა-ფშაველა და რაბინდრანატ თაგორი

ერთს განგის და მეორეს კი –
არაგვის ხმა აწვიმს გულზე
(სურნელს უკმევთ დელგმა იის).
მე ფიქრიდან ისევ ვუმზერ:
ვაჟას, როგორც ფშაველ კიკლოპს[1],
თაგორს, ვით ვეფხვს
ბენგალიის.

1985

[1] – კიკლოპი – (ბერძ) – ცალთვალა გოლიათი, ცალ-თვალა დევი

მთაწმინდას და კაილას

ვინაც მტკვრისა და განგის –
მღვრიე წყალი დალია,
ის მიმწუხრის ვარსკვლავებს
კელაპტრებად აღუნთებს –
მთაწმინდას
და კაილას[1].

2007

[1] კაილასი – წმინდა მთა ინდოეთში

***

ჩე გოლასთან[1] ინათა,
შეწყდა მნათთა ხმაური!
შეესწარი ცის ტირილს –
და მეშვიდე აურა –
ნახე ოკულტისტივით[2].

1979

[1] – ჩე გოლა (მეგრ) – თეთრი მთა
[2] – ოკულტიზმი – (ლათ) – ფარული, საიდუმლო

როგორც მტკვრის და არაგვის

სანამ ჟამი არ აჰგვის,
ცაში ადის მის სული
(მე ჩემს ფაზისს ვგულისხმობ),
როგორც მტკვრის და
არაგვის,
ვით მისისიპ-მისურის.

2007

სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ 5
მინოტავრი 25
*** სამშობლოზე ლოცვით დაღლილს .. 26
ღამე უშგულში 27
*** ვარსკვლავებით დაწინწკლული 28
*** ყვავიან მწუხარებას 29
პტოლომესეული 30
ბაბილონის გოდოლი 31
მზე და მთვარე 32
*** თოვლ-ჭყაპითა და უამინდობით 33
*** უსამანო ცის მინდორზე 34
*** ცად ბინადრობ 35
*** მგოსნები და ტიტანები 36
*** ათასწლეულების მერეც 37
ბიბლიის კითხვისას 38
გეოცენტრული 39
*** ათასწლეულების მერეც 40
მერკური 41
უშბა, შხარა, ჩე გოლა 42
*** პონტოს სანაპიროზე 43
*** მნათთა ოქროს აგურით 44

*** საქართველო 45
*** დავიწყების კუნძულიდან 46
სამთავროს ფერისცვალების ტაძარი 47
*** აღმოსავლეთით ცისკარი 48
მზე და ფარი 49
სიცოცხლე – სასჯელი 50
მეტი სინათლე 51
ჯვარი 52
ვარსკვლავები 53
*** შავ ვარსკვლავზე გაჩენილმა 54
ბუქნა ბაადური 55
ქვედაყანა, ზედაყანა 56
*** წარსულ დღეთა მღვრიე ცაში 57
*** მე 58
ყაჩაღანის ჯვარი, დავათის სტელა 59
გათენება 60
ზღვა და ენგური 61
ხილვა – მოყმის დედა 62
კოლხური მზე 63
ხილვა: უჯარმა 64
დაო 65
მაჯამა 66
ქალდეური ნათელი 67

პლანეტები, ვარსკვლავები 68
ტრანცენდენტური 69
ხილვა: იოანე მტბევარი 70
სინათლის სანთელი 71
პიგმალიონ 72
ორი ხე 73
ჰელიოსის მზე 74
მზე, სხივი და სულიწმინდა 75
*** შენი ცხოვრება დიდი ომია 76
არაბესკები 77
“იქ” 78
*** სადღაც მეხი ცას ახელებს 79
ხილვა: ორმოცდათოთხმეტი იოანე 80
გრაალის თასი 81
თუთარჩელა 82
ხევსურეთში 83
*** ჟამს მწუხრისას მთიებმა 84
მგზავრობა გალილეაში 85
სახალხო სიტყვის ოსტატი 86
მაისის ღამე 87
ორი იუდა 88
კოლხო 89
ფრთები ჰქონდათ ალბატროსის 90

მურიცხები 91
კატაპულტები 92
*** ვით ბადრი და ძმანი მისნი 93
1993 94
ჩემი კოლხი წინაპარი 95
ოთხი მოციქული 96
ძევ ჰელიოსის! 97
კოლხეთსა და იბერიას 98
დროცა და სივრცეც 99
“კოლხური ფსალმუნების” 100
ვაშინერს 101
ჟამი – გიურზა 102
“კოლხურ ფსალმუნთა წიგნები” 103
*** რადგან ქვეყნად 104
წიგნი 105
შუაღამისას 106
გრძნობს აფსუა, ალბათ ოსიც 107
მე ვარ ის 108
წუხილი 109
ხილვა: ნაბუქონენცარი 110
ასურებს და ქარანელებს 111
მწუხრი 112
ხორგის სასაფლაო 113

თოთი 114
“შუმერო, დიდო ქვეყანავ...” 115
დროშა 116
პონტოსა და ჯურჯანის ზღვა 117
ცხრა ცთომილი 118
სამეგრელოს მეხუთე დალაშქვრა 119
ქალდეველი 120
მოსეს, ისაკს, იაკობს 121
უღმერთობა ზოილის 122
უშბა, თეთნულდი და შხარა 123
ისევ ქალდეველები 124
ღვთაებები 125
N-ს 126
*** ვაჟავ! 127
*** ვარსკვლავების ოქროს კბილი 128
სინათლის შვილები 129
ისევ ქალდეველები 130
ანუ და ენლილი 131
ფაზისი 132
*** კანონია ფიზიკის 133
ნოდის ქვეყანა 134
ზიქურათები 135
ხილვა: ქრისტე 136

ჩემო კოლხეთო 137
ციხის ცხრა კარიბჭე 138
მზის შვილები 139
ა პ ო კ რ ი ფ ი 140
ზღვათა სამეფო 141
ურის, ურუკს, ერიდუს 142
*** აი, შენი სამეფო 143
*** ევქსნის პონტოს რომ აღელვებს 144
წყალი ანუ "მოსვლა" 145
მეგრული ჯარგვალი 146
მოდგმა ბუმბერაზების 147
წყლის ჭურჭელი 148
უფლის სახლი 149
სიცოცხლიდან სიცოცხლეში 150
ლოტოსი 151
თეთრი ღრუბლები 152
დიოგენე ანუ თავისუფლება 153
უჟამო და უმანძილო 154
ცა 155
თიამათი 156
ელვა 157
პოეტი 158
ზოდიაქო 159

ქალდეველთა ქვეყანა 160
დარიოს პირველის ლაშქრობა 161
*** დრო და ჟამი ვეღარ ურჩენს 162
ჰიპარქე 163
ლოცვა 164
შენი მდინარე 165
ქალდეური რვეული 166
ანუნაქები 167
*** სადღაც ქვესკნელს 168
თორი 169
ცა კოლხური 170
ხილვა: ან მარე 171
*** ვიღაცა მიზომავს ქართულ ცას 172
კოსმოსი 173
ატლანტიკის ოკეანე 174
ფსალმუნი – 9999 175
არაგვი 176
წყალთა სულები 177
რეაკიბელა 178
მზე 179
კოლხეთი 180
წარღვნა კოლხეთში – 7500 წ. 181
კოლხეთსა და ეგვიპტეს 182

ვითა ხიდის მირაბოს 183
*** მშობელ მიწას, ვით დაჰპირდა 184
წარწერა დავითფერულზე 185
ცა და მიწა 186
*** ევქსნის პონტო 187
ოჯალეში 188
მზის შვილები 189
წყურგილები 190
ელდორადო 191
ნეიტრონი 192
ვარსკვლავები – შვილებია სინათლის .. 193
*** მკლავდაკუნთულნი 194
ბორობუდური 195
ვარსკვლავები – მიცვალებულთა 196
“მეფეთა ველი” 197
მარადიული სივრცე 198
ამენტის დარბაზები 199
ისევ ზოგ-ზოგ ვაი მეცნიერს 200
ქალდეველთა ქიანა-ქანაანი 201
მეჟამნე და მეფსალმუნე 202
სულთა სამყოფელი 203
მოიას ქანდაკებები 204
ნოეს ვაზი 205

ეზოთერული.....206
მზის ჩასვლა.....207
ისევ ლოდინი.....208
ჯრუჭის ოთხთავი.....209
*** მწუხრმა ღამის ბილიკით.....210
*** სიჩუმის კუნძულებიდან.....211
ხილვა: ატლანტიდები.....212
*** ყოფნა-არყოფნის ორომტრიალში.....213
*** მწუხრს ჩამოაქვს შოორეული.....214
წმინდა მამები.....215
ქა-დინგირა.....216
ელდორადო ანუ ოქროს ქვეყანა.....217
*** ცივ სარეცლებზე.....218
სჯულის კიდობანი.....219
შუმერთა ქვეყანა.....220
*** "ბწკალთა" მშვენიერ.....221
ენლილის მთა.....222
ღვთის შვილები.....223
*** მთვარე მიჰყავთ ვარსკვლავებს.....224
ივლისის ღამე.....225
*** ჩე გოლადან[1] თუ მთიდან.....226
*** ვით დღე და ღამე.....227
*** ვეალერსებით მშობლიურ 228

*** პოეზიის წარღვნაა და... 229
*** მთვარე შენთან ახლოა 230
შეგონება.....231
ბედის ოქროს ბარძიმი.....232
*** ნათელს იდუმალების.....233
*** დედის 234
30-ე პარალელი.....235
მზე ინდური ვედების.....236
ვაჟა-ფშაველა და.....237
მთაწმინდას და კაილას 238
*** ჩე გოლასთან ინათა.....239
როგორც მტკვრის და არაგვის.....240

მილოცვა

„ნიკოლოზ ფირცხალავას" 100-წლისთავთან
დაკავშირებით, ერისადმი ამ ფიქრიანი
ბუნების, ერისადმი ამ ფიქრიანი
ბუნების ლოცვისთვის, ლაღისა
ამ ოთხი, ერისადმი ბევრ ფიქრიანი
ბუნებისა ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი

ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 50

VAZHA EGRISELI

"KOLKHURI PHSALMUNEBI"

ONE HUNDRED VOLUME

VOLUM L

გამომცემლობის	
რედაქტორი	– გილდა სუხიშვილი
მხატვარი	– სპარტაკ ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი	– ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი	– ნანა დუმბაძე
კორექტორი	– მარი დოლბაია
კომპიუტერული	
უზრუნველყოფა	– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – პაატა დოლბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com